დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია ქურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

წევრები:

კესო ბოყოველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ზაზა მანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

კახაბერ ფარცვანია - უცხოური საგნების საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან პარუნაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

თინათინ მარქარაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

როლანდ ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრიი ექსპერტი

ლიანა კობესაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237102032

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლიხაური
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი ლიხაური
საფოსტო ინდექსი	3500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/598?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	likhauri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 94 11 29

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ'' ბრძანება N MES 7 25 0000463804 (30.04.2025 წ)

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	04 და 05 ივნისი, 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლიხაური, 1 შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლიხაური, 1 შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლიხაური, 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლაში 2025 წლის 04 და 05 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვიზიტამდე გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და დოკუმენტაციას. ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები.

საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების, ასევე, ადამიანური რესურსის (პედაგოგები) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა მატერიალური რესურსებისა და სასკოლო გარემოს დათვალიერების, ინტერვიუირების, თანამშრომელთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვის, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის პერიოდში ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გადაეგზავნა საგნობრივ ექსპერტებს.

ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა. ვიზიტის ფარგლებში გაიცა ზეპირი რჩევები და რეკომენდაციები. სკოლის ადმინისტრაცია თანამშრომლობდა ექსპერტებთან და აწვდიდა ყველა საჭირო მოთხოვნილ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 450	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	ხარვეზი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.12.2025-მდე) უზრუნველყოს სკოლის ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავება
ინდიკატორი N1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებ გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებ მიერ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.12.2025-მდე) უზრუნველყოს სკოლის ღირებულებების შემუშავების პროცესის ციკლის განმავლობაში სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებისთვის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება
ინდიკატორი N1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.12.2025-მდე) უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმების ასახვა
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (09.09.2025-მდე) უზრუნველყოს ტექნიკური ხარვეზის

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	აღმოფხვრა სტრატეგიული გეგმის დამტკიცების თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს, სამეურვეო საბჭოს ოქმში
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025-მდე) უზრუნველყოს: • მასწავლებლებთან ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისი სტატუსების მიხედვით. • წამყვანი და მენტორი მასწავლებლების ხელშეკრულებებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით'' გათვალისწინებული შესასრულებლად სავალდებულო ფუნქციების ასახვა. • ყველა თანამშრომლის პირად საქმეში განათავსოს სავალდებულო ნასამართლეობის ცნობები. • სკოლის შიდა რეგულაციით განსაზღვროს დასაქმებულთა პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.
ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.07.2027-მდე) უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის აღჭურვა ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით და ვიდეოდაკვირვების განხორციელება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და

		საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" 41-ე მუხლის შესაბამისად.
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.07.2027-მდე) უზრუნველყოს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნა.
ინდიკატორი N 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.10.2025-მდე) უზრუნველყოს ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე/პორტალზე იმ პროგრამ(ებ)ის სახელწოდებების შესახებ, რომლებზეც სკოლა ახორციელებს საქმიანობას, ასევე, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), გასაჩივრების მექანიზმები და ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025-მდე) უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში სასწავლო ერთეულების,

		კერძოდ, საკითხის, დავალების იდეისა და კონტექსტმაგალითების სწორად ფორმულირება.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.10.2025-მდე) უზრუნველყოს ისგ-ში (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება) ცნებების სწორად მითითება იმგვარად, რომ იძლეოდეს სრულ სურათს სსსმ მოსწავლის განვითარების თაობაზე.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.09.2025-მდე) უზრუნველყოს დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენაში შემოქმედებით ტიპის დავალებების განხორციელება სასკოლო კურიკულუმში გაწერილი რაოდენობების შესაბამისად.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლამ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაწეროს სასკოლო საზოგადოების წევრების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართულობისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმები.
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლამ სამოქმედო გეგმის თავფურცელზე სწორად ასახოს ის სტრუქტურული ერთეული - სამეურვეო საბჭო, რომელმაც დაამტკიცა სამოქმედო გეგმა.
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლამ უფრო კონკრეტულად გაწეროს თუ რას მოიაზრებს ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსში.
ინდიკატორი N1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სკოლამ, მონიტორინგის მიზნების გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ეფექტურებისთვის, აღნიშნული მონიტორინგი განახორციელოს წლის განმავლობაში 2-ჯერ და შესაბამისი შესწორება შეიტანოს მეთოდოლოგიურ დოკუმენტში, ვინაიდან, წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, გეგმის შესრულების პროცესში არსებული

		ნაკლოვანებების იდენტიფიცირების შემთხვევაში, დაგვიანებული იქნება ხარვეზების აღმოფხვრა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. ხოლო, იმისათვის, რომ სტრატეგიული გეგმის ხშირი შემოწმება არ იქცეს რუტინად და არ გამოიწვიოს სკოლის პერსონალის ზედმეტი გადატვირთვა, სასურველია სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 1 წელზე ხანგრძლივი პერიოდი (მაგ: 2-3 წელიწადში ერთხელ).
ინდიკატორი N1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	სკოლამ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დაარეგულიროს სტრატეგიული გეგმის გასაჯაროების მექანიზმის არსებობა.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლამ თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და გრაფიკულ სქემაში ასახული სტრუქტურული ერთეულები მოიყვანოს შესაბამისობაში ერთმანეთთან და საშტატო განრიგთან.
ინდიკატორი N3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	სკოლამ შიდა სასკოლო მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის განხორციელების პროცედურა.
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას	სკოლამ ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შერჩევის საკითხი აღწეროს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში, რათა ნათელი იყოს თანამშრომელთა სკოლაში დასაქმების პროცედურა.

	ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	
ინდიკატორი N3.2.1.1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სკოლამ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის კონკრეტული მექანიზმი, კერძოდ, აღნიშნული პროცესის ხელმძღვანელი და პროცესში ჩართული პირი/პირები და საჭიროებების დადგენის მეთოდები.
ინდიკატორი N3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სკოლამ განახორციელოს სრული პერსონალის პროფესიული საჭიროებების კვლევა, უზრუნველყოს ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაოს კონკრეტული სასწავლო წლის/პერიოდის გეგმა პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან	სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

	შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლამ უზრუნველყოს წყლის რეზერვუარის დასუფთავება ,,წყალი, სანიტარია, ჰიგიენა სკოლაში'' გაიდლაინით გათვალისწინებული რეკომენდაციის შესაბამისად.
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლამ მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ამოიღოს ჩანაწერი მონაცემთა სუბიექტის თანხმობის თაობაზე და მონაცემთა დამუშავების თანხმობის მოიპოვოს ცალკე ,,პერსონალურმონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნებაყოფლობითობის პრინციპის გათვალისწინებით.
ინდიკატორი N3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების	სკოლამ დოკუმენტში ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება'' დააზუსტოს თუ ვინ ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას, ვინაიდან დოკუმენტში მოხსენიებული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი არ არის გათვალისწინებული სკოლის საშტატო განრიგითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

	შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	
ინდიკატორი N3.6.1.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლამ გაასწოროს საქმისწარმოების წესში დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართი.
ინდიკატორი N3.6.3.2	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას	სკოლამ ,,საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის" შესაბამის მუხლებში, სკოლის საკომუნიკაცი არხებს მეშვეობით სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელ პირად ასახოს დირექტორის მოადგილი, პირი, რომელთანაც ფაქტობრივად თანხმდება გასავრცელებელი ინფორმაცია (რეგულაციაში ასეთ პირად განსაზღვრულია საინფორმაციო მენეჯერი).
ინდიკატორი N3.6.3.3	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად	სკოლამ ,,საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესში" შეიტანოს ცვლილება სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართთან დაკავშირებით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.1.2	მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან	სკოლამ შიდა სასკოლო რეგულაციები განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე/პორტალზე, უფრო მეტი გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორი N4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის	სკოლამ, მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და მობილობის შიდა წესიდან ამოიღოს რეგულაცია, რომელიც ეხება ფინანსური

	დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	დავალიენების მქონე მოსწავლის სტატუსის შეწყვეტას, ვინაიდან აღნიშნული რეგულაცია გათვალისწინებულია მხოლოდ კერძო სკოლისთვის.
ინდიკატორი N4.2.4.1	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სკოლამ სასკოლო კვების ობიექტის მონიტორინგის კომისია დააკომპლექტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის 523 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის დადგენილი მოთხოვნების“ შესაბამისად, კერძოდ, კომისიაში შეიყვანოს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები და მშობლები.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***ესთეტიკური აღზრდა:*** 1. *სასურველია ყველა კლასის კურიკულუმი გაიწეროს ერთი სახის ფორმაში;* 2. *სკოლას მიეცა რჩევა კურიკულუმებში გაიწეროს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკის შესაბამისი თემები.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***ტექნოლოგიები:*** *სასურველია განახლდეს ყველა კლასის კურიკულუმი, რადგან მიმართულებების მიხედვით ყველა სამიზნე ცნება და მასში შემავალი საკითხები უნდა იყოს დამუშავებული მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობის გათვალისწინებით, რათა დაძლეულ იქნას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით დაწყებითი საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგი.* ***უცხო ენები:*** *სკოლას მიეცა რჩევა, რუსულ ენაში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების უკეთ შესაბამისობის მიზნით, კურკულუმში გამოკვეთოს კონკრეტული სამიზნე ცნებები (რომელიც, არსებულ კურიკულუმში გამოხატულია სტანდარტის შედეგებით).* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:*** *მე და საზოგადოებაში არ მუშავდება ცნება „პიროვნება“, ასევე კურიკულუმში ჩამატებული იყო ისეთი სვეტები (ესგ-ს მიზნების და შედეგების), რაც არ იყო სკოლის მიერ დამტკიცებულ კურიკულუმის ჩარჩოებში, რის გამოც კათედრას მიეცა რჩევა გაეთვალისწინებინა აღნიშნული.*

ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***ტექნოლოგიები:*** *სასურველია სამიზნე ცნება „ციფრული მოქალაქეობის“ დამუშავების დროს გამოყენებულ იქნას რესურსი „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის“, რომელიც ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს მოიცავს ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:*** *სკოლას მიეცა რჩევა კურიკულუმებში შეიტანოს ყველა გამოყენებული რესურსი.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***უცხო ენები:*** *სასურველია შეიქმნას შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული შეფასების სქემა.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***ესთეტიკური აღზრდა:*** *სასურველია გარდა ზოგადი სახის რუბრიკებისა, სკოლამ შეადგინოს და გამოიყენოს კონკრეტული თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *მეექვსე კლასის „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმთან ერთად წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა, რომელიც სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. თუმცა, აღნიშნული შეფასების რუბრიკის ინდიკატორები ზოგადია. სკოლას მიეცა რჩევა მიუთითოს კონკრეტული საკითხები, რომელთა ფლობასაც ითვალისწინებს აღნიშნული ინდიკატორი.*

ინდიკატორი N2.3.2.2	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით*	*სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ ჩანდეს რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება, ასევე, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება.*
ინდიკატორი N2.3.2.4	*შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით*	*სასურველია მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით ახორციელებს სკოლა შეფასებას.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***ესთეტიკური აღზრდა:*** 1. *სასურველია ყველა კლასის კურიკულუმი გაიწეროს ერთი სახის ფორმაში;* 2. *სკოლას მიეცა რჩევა კურიკულუმებში გაიწეროს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკის შესაბამისი თემები.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია საბაზო საფეხურის გეოგრაფიის კურიკულუმებში გაიწეროს ქვეცნებები, საკითხები დაიყოს კლასტერებად და გაიწეროს მაგალითები შედარებისთვის. სამიზნე ცნების სვეტში ასევე სასურველია მიეთითოეს ქვეცნებები. რესურსების სვეტში კი მიეთითოს კონკრეტული რესურსები (მაგალითად, თემატური რუკების ნაცვლად მისათითებელია კონკრეტული რუკები. გეოგრაფიის კურიკულუმებიდან აგრეთვე ამოსაღებია შეფასების სვეტი.*

ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***უცხო ენები:*** *სკოლას მიეცა რჩევა, რუსულ ენაში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების უკეთ შესაბამისობის მიზნით, კურკულუმში გამოკვეთოს კონკრეტული სამიზნე ცნებები (რომელიც, არსებულ კურიკულუმში გამოხატულია სტანდარტის შედეგებით).*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***უცხო ენები:*** *სასურველია შეიქმნას შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული შეფასების სქემა.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***ესთეტიკური აღზრდა:*** *სასურველია გარდა ზოგადი სახის რუბრიკებისა, სკოლამ შეადგინოს და გამოიყენოს კონკრეტული თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები.*
ინდიკატორი N2.3.2.2	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით*	*სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ ჩანდეს რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება, ასევე, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება.*
ინდიკატორი N2.3.2.4	*შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით*	*სასურველია მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით ახორციელებს სკოლა შეფასებას.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამა)	
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***ესთეტიკური აღზრდა:*** 1. *სასურველია ყველა კლასის კურიკულუმი გაიწეროს ერთი სახის ფორმაში;* 2. *სკოლას მიეცა რჩევა კურიკულუმებში გაიწეროს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკის შესაბამისი თემები.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია საშუალო საფეხურის გეოგრაფიის კურიკულუმში გაიწეროს ქვეცნებები, საკითხები დაიყოს კლასტერებად და გაიწეროს მაგალითები შედარებისთვის. სამიზნე ცნების სვეტში ასევე სასურველია მიეთითოეს ქვეცნებები. რესურსების სვეტში კი მიეთითოს კონკრეტული რესურსები (მაგალითად, თემატური რუკების ნაცვლად მისათითებელია კონკრეტული რუკები. გეოგრაფიის კურიკულუმებიდან აგრეთვე ამოსაღებია შეფასების სვეტი.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***უცხო ენები:*** *სკოლას მიეცა რჩევა, რუსულ ენაში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების უკეთ შესაბამისობის მიზნით, კურკულუმში გამოკვეთოს კონკრეტული სამიზნე ცნებები (რომელიც, არსებულ კურიკულუმში გამოხატულია სტანდარტის შედეგებით).*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***უცხო ენები:*** *სასურველია შეიქმნას შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული შეფასების სქემა.*

ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია მასწავლებლებმა შექმნან დეტალური პროექტის გეგმები X, XI და XII კლასებისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება პროექტის განხორციელების ყველა ეტაპი.* *წარმოდგენილი X კლასის პროექტის გეგმა („საქართველოს დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე“) გაუმჯობესდეს შემდეგი დეტალების გათვალისწინებით:* *ა) მიეთითოს მოსწავლეთა აქტივობები თითოეულ ეტაპზე;* *ბ) მიეთითოს საჭირო რესურსები, მათ შორის, კონკრეტული ლიტერატურა, ვებ-გვერდები და სხვა დამხმარე მასალები;* *გ) აგრეთვე გაიწეროს სამოქმედო გეგმა, რომელიც ნათლად ასახავს პროექტის განხორციელების ვადებსა და ეტაპებს.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***ესთეტიკური აღზრდა:*** *სასურველია გარდა ზოგადი სახის რუბრიკებისა, სკოლამ შეადგინოს და გამოიყენოს კონკრეტული თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *X კლასის კურიკულუმთან ერთად წარმოდგენილ შეფასების რუბრიკაში სამი ცნებაა წარმოდგენილი, მათგან ორჯერ არის გაწერილი სამიზნე ცნება „ძალაუფლების“ შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები. მასთან ერთად, განაწილებულია არა 6, არამედ 5 ქულა. შესაბამისად, მასწავლებლებმა სწორად უნდა მიუთითონ სამიზნე ცნებები და 6 ქულა გაანაწილონ აღნიშნულ ცნებებზე.*
ინდიკატორი N2.3.2.2	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით*	*სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ ჩანდეს რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება, ასევე, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება.*
ინდიკატორი N2.3.2.4	*შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით*	*სასურველია მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით ახორციელებს სკოლა შეფასებას.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმასთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა მესამე სტანდარტის 3.4.1(1) და 3.5.1(4) ინდიკატორებთან მიმართებით.
3.5.1(4) ინდიკატორებთან მიმართებით, რომელიც უკვე შეფასებული იყო ,,ნაწილობრივი'' შესაბამისობით, სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დაკორექტირებული ვადები და აქტივობები, ხოლო 3.4.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, რომელიც უკვე შეფასებული იყო ,,ნაწილობრივი'' შესაბამისობით, წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და კორექტირებული შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ახლად გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებით, ინდიკატორების მიხედვით, სკოლამ გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც:

- ინდიკატორები, პირველ სტანდარტთან მიმართებით - 1.1.1(3); 1.1.1(4); 1.2.1(1) და 1.2.1(2); მეორე სტანდარტთან მიმართებით, დაწყებით საფეხურზე - 2.1.2(2); 2.1.2(4); 2.2.1(1); საბაზო და საშუალო საფეხურებზე - 2.1.2(2); 2.2.1(1); ხოლო მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.1.2(3) და 3.6.3(5) ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი'', ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ჩამოთვლილ ინდიკატორებთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა ვადა არაუმეტეს 12 თვისა.

- ინდიკატორები მესამე სტანდარტთან მიმართებით 3.4.1(3) და 3.5.1(4) შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისი'', ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ჩამოთვლილ ინდიკატორებთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა ვადა არაუმეტეს 12-24 თვისა.
- რაც შეეხება ინდიკატორს 3.4.1(1), სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე იგი შეფასდა როგორც ,,შესაბამისი''.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას აქვს მისია და ხედვა, რომლებშიც აქცენტი გაკეთებული ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, ცოდნის მიღების შესაძლებლობა თემის ჩართულობით, მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა, კურსდამთავრებულთა ცხოვრებისეული, 21-ე საუკუნის შესაბამისი უნარ–ჩვევებით აღჭურვა, ახალი ტექნოლოგიები და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, მოსწავლეთათვის იმ პრაქტიკული უნარჩვევების ჩამოყალიბება, რომლებიც დაეხმარება მათ მოემზადონ პრაქტიკული ცხოვრებისთვის.
შესაბამისად, სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიისა და ხედვის შინაარსი ცხადყოფს, რომ სკოლას, როგორც მისიით, ისე ხედვით გააზრებული აქვს საკუთარი როლი უსაფრთხო სივრცის კონტექსტში. გარდა ამისა, მისიასა და ხედვაში ასახული დებულებების თანახმად, სკოლა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ყველა ბავშვს და შეასრულოს, როგორც სასწავლო-სააღმზრდელო, ასევე კულტურული და სათემო განვითარების ცენტრის ფუნქცია. სკოლა აღიარებს გუნდური მუშაობის პრინციპებს.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლას მისია და ხედვა შემუშავებული აქვს 2022 წელს და გაცხადებული აქვს 2022-2023 და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმებში, სკოლის დირექციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესში ჩართული ჰყავდა სასკოლო საზოგადოება, იმართებოდა შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან და მათგან იღებდა ინფორმაციას. სკოლამ აღნიშნული პროცესის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ვერ შეძლო. ვინაიდან 2022 წლისთვის ჯერ კიდევ არ მოქმედებდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და არ არსებობდა მოთხოვნა სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებასთან დაკავშირებით, არ ჰქონდა დამტკიცებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპების განმსაზღვრელი შიდა რეგულაცია და არ განუხორციელებია შემუშავების პროცესის დოკუმენტირება.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე დადგინდა, რომ *სკოლამ ღირებულებები შეიმუშავა 2024-2025 სასწავლო წელს, თუმცა ვერ წარმოადგინა ვერც ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.* სკოლამ განმარტა, რომ 2024 წლის 25 დეკემბერს შეიმუშავა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია და მომავალში გეგმავს უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმვის სრული პროცესის რევიზია, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, მათ შორის, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ნაწილშიც.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 22.09.2025-22.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის რედაქტირება და ღირებულებების გადახედვის პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. შესაბამისად, იდნიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაწეროს სასკოლო საზოგადოების წევრების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართულობისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმები.</u>

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.**</u>

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

გამომდინარე იქედან, რომ მისია და ხედვა სკოლას შემუშავებული აქვს 2022 წელს, ამ დროისთვის, ჯერ კიდევ არ მოქმედებდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და არ არსებობდა სასკოლო საზოგადოების მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მოთხოვნა. შესაბამისად, მისიისა და ხედვის სასკოლო საზოგადების მიერ გაზიარების გაწერილი პროცედურა სკოლას 2022 წლისთვის არ გააჩნდა. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე დადგინდა, რომ *სკოლამ ღირებულებები შეიმუშავა 2024 წელს, რომლის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულებებიც ვერ წარმოადგინა.*
სკოლამ განმარტა, რომ 2024 წლის 25 დეკემბერს შეიმუშავა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია და მომავალში გეგმავს სტრატეგიული დაგეგმვის სრული პროცესის რევიზიას, რა დროსაც უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებისთვის საჭირო მექანიზმების არსებობას.
სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 22.09.2025-22.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ატქივობად - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის რედაქტირება და ღირებულებების გაზიარების პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. შესაბამისად, იდნიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებული აქვს სკოლის ვებ-გვერდზე, რითაც უზრუნველყოფილი აქვს მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

დაწესებულების სახელწოდებაა სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლა. სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით. ასევე, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის'' მე-2 მუხლთან. აღნიშნული დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერითა და შემოსავლების სამსახურის მოწმობით საგადასახადო აღრიცხვის შესახებ.
<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის'' დოკუმენტი;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოწმობა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე წარმოადგინა 2024 წლის 25 დეკემბერს დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია სტრატეგიული და საქმოქმედო გეგმების შემუშავების პროცესები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის პროცესში, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინების მექანზმების არსებობა გამოიხატება სამუშაო ჯგუფის ფორმატში შემუშავების/რევიზიის სამუშაოების ორგანიზებით. კერძოდ, მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ასახულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი უნდა წარიმართოს სამუშაო ჯგუფის ფორმატში, ჯგუფის ხელმძღვანელობს დირექტორი, ხოლო შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოება და გათვალისწინებულია გარე დაინტერესებული მხარის წარმომადგენლის მოწვევის შესაძლებლობა. დოკუმენტი ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმის მომზადების პროცესში სამიზნე ჯგუფების გამოკითხვას და ანალიზს.

დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის ხედვის შემუშავებისა და მისიის რევიზიის პროცედურებსაც, თუმცა *არ ითვალისწინებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების მექანიზმების არსებობას. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 25 დეკემბერს დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის ბრძანება, რომელიც დაკომპლექტებული იყო მხოლოდ სკოლის თანამშრომლებით და არ მოიცავდა სასკოლო საზოგადობის ყველა წევრს, როგორიცაა მოსწავლე და მშობელი. ბრძანების თანახმად, სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა დირექტორის მოადგილე, რაც წინააღმდეგობაში მოდის 2024 წლის 25 დეკემბერს დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან, კერძოდ, მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ჯგუფის დაკომპლექტების პრინციპთან.*

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 22.09.2025-22.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ატქივობად - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის რედაქტირება. შესაბამისად, იდნიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა ,,მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

დაწესებულებამ, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლინი გეგმა, რომელიც მოიცავს 2024-2031 წლებს. დოკუმენტის შესავალი ნაწილითა და სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმნეტით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავება ხორციელდება 7 წელში ერთხელ. დოკუმენტი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, შეიცავს მისიასთან თავსებად 7 სტრატეგიულ მიზანს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.
სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის თავფურცელზე მითითებული იყო, რომ გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ, თუმცა სკოლამ ვერ წარმოდგინა ასეთი ბრძანება. მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის დამტკიცების თაობაზე ვერც სამეურვეო საბჭოს ოქმი. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024 წლის 09 სექტემბრის ოქმში ფიქსირდებოდა მხოლოდ სტრატეგიული გეგმის განხილვის საკითხი.
სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 08.09.2025-09.09.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ატქივობად - ტექნიკური ხარვეზის გასწორება სტრატეგიული განვითარების გეგმის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცების თაობაზე. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასი განმარტა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების დოკუმენტში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, ნაცვლად სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებისა, მითითებული იყო დირექტორის მიერ დამტკიცება და რომ აღნიშნული გარემოება გასწორებული იქნება მომდევნო სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. შესაბამისად, იდნიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის

წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, რაც დასტურდება სამოქმედო გეგმაში გაცხადებული მიზნებითა და ამოცანებით და მათ შესასრულებლად გაწერილი აქტივობებით.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის თავფურცელზე მითითებულია, რომ სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. მოქმედი კანონმდებლობითა და სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სამოქმედო გეგმა უნდა დამტკიცდეს სამეურვეო საბჭოს მიერ. როგორც დადგინდა, სამოქმედო გეგმა 2024 წლის 09 სექტემბერს დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. შესაბამისად, <u>**სკოლას მიეცა რჩევა,** სამოქმედო გეგმის თავფურცელზე სწორად ასახოს ის სტრუქტურული ერთეული - სამეურვეო საბჭო, რომელმაც დაამტკიცა სამოქმედო გეგმა.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი კონკრეტული აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, შესრულების ვადები, გაწერილი თვეების მიხედვით. გეგმაში ასევე მოცემულია აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური).

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** უფრო კონკრეტულად გაწეროს თუ რას მოიაზრებს ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსში.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის'' დოკუმენტი;
- 2024-2031 წლების სტრატეგიული სასწავლო გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი (09.09.2024).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. კერძოდ, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს წელიწადში მინიმუმ ერთხელ, სამუშაო ჯგუფის ფორმატში. ამასთანავე, შესაძლებელია განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ასევე გათვალისწინებულია წელიწადში ერთხელ, სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე.

<u>სკოლას მეიცა რჩევა,</u> <u>მონიტორინგის მიზნების გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ეფექტურებისთვის, აღნიშნული მონიტორინგი განახორციელოს წლის განმავლობაში 2-ჯერ და შესაბამისი შესწორება შეიტანოს მეთოდოლოგიურ დოკუმენტში, ვინაიდან, წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, გეგმის შესრულების პროცესში არსებული ნაკლოვანებების იდენტიფიცირების შემთხვევაში, დაგვიანებული იქნება ხარვეზების აღმოფხვრა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. ხოლო, იმისათვის, რომ სტრატეგიული გეგმის ხშირი შემოწმება არ იქცეს რუტინად და არ გამოიწვიოს სკოლის პერსონალის ზედმეტი გადატვირთვა, სასურველია სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 1 წელზე ხანგრძლივი პერიოდი (მაგ: 2-3 წელიწადში ერთხელ).</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასების განხორციელება, დამტკიცებულია 2024 წლის 25 დეკემბერს. დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგის და შეფასების პროცესი უნდა განხორციელდეს წლის ბოლოს, სამუშაო ჯგუფის მიერ. შესაბამისად, სკოლას ავტორიზაციის ვიზიტის დროს ჯერ კიდევ არ აქვს განხორციელებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი. მარეგულირებელი დოკუმენტის არსებობით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, რა დროსაც უნდა შეგროვდეს მონაცემები სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით და გაანალიზდეს იგი. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან უკუკავშირის მიღების მიზნით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების საჯაროობის მექანიზმი, კერძოდ, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები იდება სკოლის ვებ-გვერდზე. ამასთან, დოკუმენტით გათვალისწინებულია, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან, მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლას არ ჰქონდა განხორციელებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება, შესაბამისად, ვერ შემოწმდა შედეების გასაჯაროების პრაქტიკაში განხორციელება, თუმცა, დადგინდა, რომ სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** ამავე დოკუმენტით დაარეგულიროს სტრატეგიული გეგმის გასაჯაროების მექანიზმის არსებობაც.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია, რომ სამოქმედო გეგმის შეფასებაში მოიაზრება შეგროვებული მონაცემების გაანალიზება და შემდგომი რეაგირბის საჭიროების განსაზღვრა. სამოქმედო გეგმის შულედური შეფასების პროცესში გამოკვეთილი პრობლემური საკითხების შემთხვევაში, შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას და წარადგენს დირექტორთან შესათანხმებლად. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების საბოლოო შედეგები წარედგინება სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით, რომლის საფუძველზეც გადაიხედება სტარტეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში კი საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.
ამრიგად, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის'' დოკუმენტი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის ტრუქტურა მოიცავს დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს. სკოლაში საშტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სპეციალური მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტი, ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ცეცხლფარეში. სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც გაწერილია სკოლაში დასაქმებული პირების მიერ შესასრულებელი ფუნქციები. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები რეულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. რიგ შემთხვევებში ხდება ბრძანებით კონკრეტული ფუნქციის დაკისრება, მაგალითად, როგორიცაა, ჟურნალების მონიტორინგი, უსაფრთხობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და ა.შ. ფუნქციები გადანაწილებულია იმგვარად, რომ არ იკვეთება და მკაფიოდ არის განსზღვრულია თუ ვის რა ფუნქციის შესრულება ევალება. შექმნილია სამუშაო ჯგუფები და საკონკურსო კომისიები, რომელთა ფუნქციებიც ასევე გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან შესაბამისი შიდა მარეგულირებლით.

სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებებში ასახული ფუნქციები თანხვედრაში თანამდებობრივ ინსტრქუციებთან.

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტრული სქემა გრაფიკული სახით, სადაც განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები. სტრუქტურულ სქემაში დამატებით ასახულია საგნობრივი კათედრები, მანდატური და საინფორმაციო მენეჯერი. სკოლის საშტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული არცერთი მათგანი. შესაბამისად, <u>**სკოლას მიეცა რჩევა,** თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და გრაფიკულ სქემაში ასახული სტრუქტურული ერთეულები მოიყვანოს შესაბამისობაში ერთმანეთთან და საშტატო განრიგთან.</u>

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის თანამშრომლებსა და სტრაუქტურულ ერთეულებზე შესასრლებელი ფუნქციები გადანაწილებულია იმგვარად, რომ გამიჯნულია შესასრულებელი ვალდებულებები. ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და თანამდებობრივ პირს ევალება შესრულოს თავისი ფუნქცია-მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობების განხორციელბაზე პასუხისმგებელი პირები მათზე ხელშეკრულებით და ფუნქციების დაკისრების შესახებ ბრძანებების შესაბამისად.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურული სქემა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- საშტატო განრიგი;
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვისას სკოლა ეყრდნობა საქართველოს შრომის კოდექსს, მოქმედი კანონმდებლობას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტს, თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და სკოლის შინაგანაწესს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პროცესები, კადრების მოზიდვა, დასაქმება, კონკურსის პირობები, პროფესიული და კარიერული განვითარება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები შრომის კოდექსის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია საკითხები, როგორიცაა სამსახურში გამოცხადების წესი, შვებულების მიცემის წესი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, შრომის დისციპლინის და წახალისების საკითხები და სხვა. აღნიშნული დოკუმენტით დადგენილ რეგულაციებს სკოლა იყენებს საქმიანობის პროცესში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა ვლინდება ახალი კადრების მოზიდვის და დასაქმების, დროებით არმყოფი კადრების ჩანაცვლების პრაქტიკაში. მასწავლებლის პოზიციაზე კადრის საჭიროების შემთხვევაში იღებს დროებით ან მუდმივ კადრს. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი. იმ შემთხვევაში თუ სასწავლო პროცესში წარმოიშვება გაუთვალისწინებელი მდგომარეობა და მასწავლებელი ვერ ცხადდება სკოლაში, დირექტორის მოადგილე ახდენს შიდა კადრით ჩანაცვლებას ისე, რომ არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** შიდა სასკოლო მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის განხორციელების პროცედურა.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს მასწავლებლის ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში კონკურსის გამოცხადების პროცედურებს, კადრების მოზიდვასა და შერჩევას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპებზე დაყრდნობით.

სკოლაში კონკურსი ცხადდება დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge-ზე და საჯაროა. მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებელი შეირჩევა კონკურსის გარეშე, დირექტორის გადაწყვეტილებით. სკოლის დირექციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სხვა თანამშრომელთა (გარდა

მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/ სპეციალური მასწავლებლის/სამედიცინო პერსონალის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის) მიღება ხორციელდება დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის საფუძველზეც.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>აღნიშნული საკითხი აღწეროს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში, რათა ნათელი იყოს თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის/სამედიცინო პერსონალის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის) სკოლაში დასაქმების პროცედურა.</u>

სკოლას მასწავლებლის კონკურსი ჩატარებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა ჩატარებული კონკურსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესწავლილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლა კონკურსის ჩასატარებლად ქმნის საკონკურსო კომისიას, რომელიც დაკომპლექტებულია კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული პირებით. კომისია ხელმძღვანელობს კოლეგიურობის პინციპით და გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით, რაზეც დგება შესაბამისი ოქმი. მათ შორის, ექიმის პოზიციაზე შესაბამისი პირის დასაქმება განხორციელდა კონკურსის საფუძველზე, კომისიის მიერ. შესაბამისად, პროცედურა უზრუნველყოფს კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, თუმცა დადგინდა, რომ *მასწავლებლებთან ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული სტატუსების შესაბამისად. წამყვანი და მენტორი მასწავლებლების ხელშეკრულებები არ მოიცავდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით'' გათვალისწინებულ შესასრულებლად სავალდებულო ფუნქციებს.*

ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეებით დადგინდა, რომ ყველა თანამშრომლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული სავალდებულო ნასამართლეობის ცნობები (ექიმი, ბიბლიოთეკარი, 2 მასწავლებელი, 2 სსსმ პირის ასისტენტი, 1 დამლაგებელი). ამასთან, სკოლას შიდა რეგულაციით არ ჰქონდა განსაზღვრული თუ რა დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს დასაქმებულთა პირად საქმეში. შესაბამისად, ვერ განხორციელდა სკოლის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციის ერთმანეთთან შედარება.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 25.08.2025-08.09.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ატქივობად - წამყვან და მენტორ მასწავლებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება სტატუსის და კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმებულების კანონმდებლობით მიერ დადგენილი ცნობების უზრუნველყოფა და ადამიანური რესურსების მართვი პოლიტიკის დოკუმენტში შესაბამისი ცვლილების შეტანა. შესაბამისად,

იდნიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის თანამშრომელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 35 თანამშრომელი. სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით, ხოლო მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის და ექიმის შერჩევისას, სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ შიდა რეგულაციით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო სპეციალური მასწავლებლებისა და ექიმის კავლიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

მასწავლებელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია ჯამში 22 მასწავლებელი, აქედან 15 არის უფროსი, 5 წამყვანი და 1 მენტორი მასწავლებლის სტატუსის მქონე პირი, ასევე, 1 მასწავლებელი დასქმებულია მოწვეულ მასწავლებლად, რომელსაც აქვს 3 საათიანი კვირეული დატვირთვა. თითოეული მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამებ კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების და კომისიების დოკუმენტაცია, ისევე როგორც სკოლის ადმინისტარციასთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესები განხორციელებულია თანამშრომლობითა და გუნდური მუშაობის საფუძველზე. საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შექმნა. მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ურთიერთდასწრების ფორმატს და ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. გადაწყვეტილებების მიღებისას სკოლის საზოგადოება თანამშრომლობის პრინციპს ეყრდნობა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ თანამშრომელთა მიერ გაწეული სამუშაოს შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

პერსონალის მართვის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტით, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პროცესში სკოლას გათვალისწინებული აქვს დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება. შენაგანაწესის მიხედვით სკოლას დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება და სხვა. ასევე, კათედრის წევრებს შორის ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აქტივობის სახით სკოლას გაწერილი აქვს წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების დამკვიდრება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კონკურსის დოკუმენტაცია;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- თანამშრომელთა ბაზა (eschool.emis.ge-დან პორტირებული სია);
- 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის მხრიდან პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სისტემატურად შემოწმებას და შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს განახორციელოს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი. შეფასების მეთოდებდ გათვალისწინებულია შემდეგი:

- შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ;
- თვითშეფასება;
- გასაუბრება.

შეფასების ეტაპები კი მოიცავს შემდეგს:

- დაგეგმვა;
- თვითშეფასება;
- გასაუბრება;
- საბოლოო შეფასება.

ადამინური რესურსების განვითარება სკოლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანა ,,ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება'', ხოლო სამოქმედო გეგმაში აქტივობა ,,თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა''. სკოლამ წარმოადგინა კითხვარები, რომელშიც გათვალისწინებულია ისეთი კითხვები, რომლებიც ემსახურება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას. გარდა ამისა, პროფესიული საჭიროებების დადგენის მიზნით სკოლაში ხორციელდება კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრება, რაც დასტურდება კათედრის ოქმებით და გახორციელებული უკუკავშირით.

სკოლას მიეცა რჩევა, შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს სკოლის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის კონკრეტული მექანიზმი, კერძოდ, აღნიშნული პროცესის ხელმძღვანელი და პროცესში ჩართული პირი/პირები და საჭიროებების დადგენის მეთოდები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზების ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილ აქტივობებში გაწერილია თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების დამკვიდრება, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების მოძიება/ ინფორმაციის მიწოდება, გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება.

სკოლას ჩატარებული აქვს გამოკითხვა მასწავლებლების პროფესიული განვითარების კუთხით საჭიროებების დადგენის მიზნით, თუმცა არ აქვს განხორციელებული გამოკითხვის ანალიზი და შედეგების დოკუმენტირება.

სკოლას მიეცა რჩევა, განახორციელოს სკოლის სრული პერსონალის პროფესიული საჭიროებების კვლევა, უზრუნველყოს ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაოს კონკრეტული სასწავლო წლის/პერიოდის გეგმა პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

ადმიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე.
სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარების ხედვასა და პოლიტიკას შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

- მოქნილობა;
- სწავლის მხარდაჭერა;
- შეფასება, როგორც სწავლის საშუალება;
- პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა;
- უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება.

მასწავლებლეთა პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებლის თანხმობით, სკოლა უზრუნველყოფს მისი მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის საქმიანობის პროცესში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში სტატუსების მოპოვებისა და ამაღლების პრაქტიკა. სკოლას ჰყავს უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები, რომელთა კარიერული ზრდაც განხორციელდა სკოლის ჩართულობითა და მხარდაჭერით.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცედურას, რომლის თანახმადაც ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია:

- მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი დაშთაბეჭდილება სკოლის შესახებ;
- შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალურისოციალიზაციის პერიოდი;
- „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა.

იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა ახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

- პირველი შეხვედრა ორგანიზაციასთავნ, თანამშრომლების გაცნობა - პასუხისმგებელი ერთეული სკოლის დირექცია;

- შინაგანაწესისა და სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა - პასუხისმგებელი ერთეული სკოლის დირექცია;
- მენტორი თანამშრომლის გამოყოფა - პასუხისმგებელი ერთეული სკოლის დირექცია;
- საადაპტაციო პერიოდის მიმდინარეობის განხილვა - პასუხისმგებელი ერთეული სკოლის დირექცია/მენტორი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ აქტივობად ასახულია თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსზღვრულია, რომ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. დირექცია ინიციატივების მხარდაჭერას უზრუნველყოფს შესაბამისი ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსებით. სკოლის დირექცია ადასტურებს, რომ ღიაა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული იდეების და ინიციატივების მიმართ.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- კითხვარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. სკოლაში, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორის მოდგილე. ხარისხის უზრუნვლეყოფის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან:

- სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
- პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
- შემოწმების განხორციელება;
- დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;

- რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმი ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. სკოლას იდენტიფიცირებული აქვს თითოეული პროცესი. მაგალითად, მმართველობით პროცესებად სკოლას გამოყოფილი აქვს პროცესები როგორიცაა, სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლაში ძირითად პროცესებს წარმოადგენს კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის როგანიზება და მართვა. რაც შეეხება დამხმარე პროცესებს, ასეთია:

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება;
- საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება;
- ფინანსური რესურსებს მართვა;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- მატერიალური რესურსის მართვა;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
- კარიერული განვითარება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას დამტკიცებული აქვს საჩივრების განხილვის წესი, რომელიც დეტალურად არეგულირებს საჩივრის მიღების და

განხილვის ვადებს, გადაწყვეტილების მიღების წინაპირობებს, საჩივრის რეკვიზიტებს და სხვა მნიშვნელოვან პროცედურებს. დოკუმენტით ასევე რეგულირდება შიდა სასკოლო გამოცდების გასაჩივრების, კონკურსის შედეგების გასაჩივრების, დისციპლინური სახდელის დაკისრების გასაჩივრების პროცედურა.

სკოლას, ასევე, შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა", რომელიც ითვალისწინებს, რომ თითოეულ დასაქმებულს უფლება აქვს სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის დირექტორის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. იმ შემთხვევაში თუ სკოლის დირექტორის, ან სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლის მასწავლებლის ან სკოლის ნებისმიერი სხვა პერსონალის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ პირს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სხვადასხვა უწყებას სკოლის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში დაცულია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. სკოლას რეგულაციის სახით შემუშავებული აქვს დებულება ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა". მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სკოლას ყავს მანდატურები და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები და სხვა. სკოლას დარეგულირებული აქვს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შიდა პროცესების მარეგულიებელი დოკუმენტები;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღებისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მექანიზმს. მშობლებთან კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა მშობელთა კრებები და ინდივიდუალური შეხვედრები მათთან. დამრიგებლები რეგულარულად უკავშირდებიან მშობლებს ტელეფონით, რაც მათ საშუალებას აძლევს მიაწოდონ ინფორმაცია და მიიღონ უკუკავშირი. ელექტრონული ჟურნალი წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდების საშუალებას.
გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს მშობელთა ვიზიტის კონკრეტულ დღეებსა და საათებს, რაც უზრუნველყოფს მშობლებთან კომუნიკაციას. ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციისთვის სკოლა, ასევე, აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს - სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდს და კლასის დამრიგებლების და მასწავლებლების მიერ შექმნილ დახურულ ჯგუფებს. სკოლა იყენებს ოფიციალურ ელექსტრონულ ფოსტას სხვადასხვა საკითხზე კომუნიკაციისთვის.
<u>ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.</u>

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები აერთიანებენ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული რგოლის აქტიურ ჩართულობას სკოლისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ პროცესში მონაწილეობენ როგორც ადმინისტრაციის, ისე მოსწავლეთა და პედაგოგიური პერსონალის წარმომადგენლები. ამის დამადასტურებელია გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, საგნობრივი კათედრების, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტისა და მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე და დაფიქსირებულია შესაბამის ოქმებში.
<u>ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმები;
- ელექტრონული ფოსტა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ეზო შემოღობილია და დაცულია გარეშე პირთა უნებართვო გადაადგილებისგან. სკოლას ჰყავს დარაჯები (3 დარაჯი, მათ შორის 1 დარაჯი დასაქმებულია სოციალური პროგრამის ფარგლებში) 24 საათის განმავლობაში. შესასვლელი კონტროლდება და სკოლის შენობაში გადაადგილება ხდება სპეციალური საშვების სისტემით. სკოლას ჰყავს მანდატურები და ასევე, შიდა ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას დამტკიცებული აქვს რეგულაცია ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება'', რომელშიც აღწერილია ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, გამოკვეთილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის მიმართული აქვს განცხადებით, სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადების მომზადების თაობაზე მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით (განცხადებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და თარიღად ფიქსირდება 14.10.2025). სკოლას დაწყებული აქვს ღონისძიებების გატარება სახანძრო უსაფრთხოების კუთხით ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად.

სკოლას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე არ ჰქონდა:

- *საგანგებო სიტუაციების მართვის სამახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა დაწყებული ჰქონდა აღნიშნული პროცესი და შესაბამის უწყებაში გაგზავნილი ჰქონდა წერილი გეგმის მომზადების მომსახურების მიღების მოთხოვნის თაობაზე.*
- *უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური აღნიშნულის შესახებ.*

თვითშეფასების ფორმასთან ერთად, სკოლას წარმოადგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის გამოსწორების აქტივობად გაწერილი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან, სკოლის მდგრადობის დასკვნის მომზადება, სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისად სკოლის გამართვა (ახალი ევაკუაციის გეგმა, ეზოში ჰიდრანტის დაყენება) და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებული იყო 15.03.2025-01.07.2025 პერიოდი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთა ერთად წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების და ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების თაობაზე და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციისა და მტკიცებულებების წარმოდგენის შემდგომ შეფასდა როგორც „შეესაბამება".

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.</u>

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული
<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია სკოლის სამედიცინო კაბინეტის შესაბამისი ინვენტარით და საჭირო მედიკამენტებით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა

და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით. სკოლაში დასაქმებულია კვლაიფიციური ექიმი, რომელიც აწარმოებს სპეციალურ სააღრიცხვო ჟურნალებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის ტერიტორიაზე ან/და სასკოლო დროს სკოლა იცავს საზოგადოებრივ წესრიგს, რისთვისაც დამტკიცებული აქვს სკოლის შინაგანაწესი და რეგულაცია ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება''. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას სკოლა ხელმძღვანელობს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები.

სკოლის პერიმეტრის დათვალიერებით დადგინდა, რომ არც შიდა და არც გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული არ არის არცერთი ვიდეოსამეთვალყურეო კამერა. შესაბამისად, ვერ ხორციელდება ვიდეოდაკვირვება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' 41-ე მუხლის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. შესაბამისობის გეგმით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.07.2025-07.07.2027 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად - შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება''. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა ,,ნაწილობრივ'' დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ფორმირებას. კლასის ხელმძღვანელებს შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო პროგრამები, რომლებიც მოიცავს მიზნობრივ აქტივობებსა და თემებს, ფსიქო-ემოციური განვითარებისა და მხარდაჭერის მიმართულებით. სკოლა აქტიურად ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და ანტიბულინგურ კამპანიებს. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების გატარებას ძალადობის, დისკრიმინაციის, კიბერბულინგის და ა. შ. თემებზე. სკოლა/კლასის დამრიგებელი ვალდებულია წელიწადში, სულ მცირე, ორჯერ ამ თემებზე ჩაატაროს დისკუსიები, ესეების ან ნახატების კონკურსი, მოაწყოს ფილმების ჩვენება, შექმნას ვიდეორგოლი და ა.შ. შემეცნებითი პროექტები მიზნად ისახავს არა მხოლოდ აკადემიური განვითარებას, არამედ ისეთ გარემოს ფორმირებას, სადაც ყველა მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დასქმებულია დამლაგებლები და აღჭურვილია სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის საშუალებებით დეზინფექციისა და ყოველდღიური დასუფთავებისთვის. სკოლაში მოწესრიგებულია სველი წერტილები, საპირფარეშოები მომარაგებულია ხელის თხევადი საპნითა და ქაღალდით. სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება'' არეგულირებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დასუფთავების წესები.

სკოლა მარაგდება ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით და აქვს ტექნიკური წყლის მარაგი. სკოლას აქვს 2.5 ტონის მოცულობის წყლის რეზერვუარი, რომელიც მარაგდება ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან. სკოლა პერიოდულად ახორციელებს სასმელი წყლის მიკრობიოლოგიურ ანალიზს ვარგისიანობის დასადგენად.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს რეზერვუარის დასუფთავება ,,წყალი, სანიტარია, ჰიგიენა სკოლაში'' გაიდლაინით გათვალისწინებული რეკომენდაციის შესაბამისად.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანზმები, რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნულ წესში გაწერილია მონაცემთა სუბიექტები, მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის შესახებაც ინფორმაცია ასახულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გვერდზე.

სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ამოიღოს ჩანაწერი მონაცემთა სუბიექტის თანხმობის თაობაზე და მონაცემთა დამუშავების თანხმობის მოიპოვოს ცალკე ,,პერსონალურმონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნებაყოფლობითობის პრინციპის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას. იმ კომპიუტერულ მოწყობილობებზე, სადაც მიმდინარეობს პერსონალური მონაცემების დამუშავება, ხელმისაწვდომობა რეგულირდება მომხმარებლის უნიკალური პაროლით, რომელიც ცნობილია მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლებისთვის. პაროლები განახლდება პერიოდულად, რაც დამატებით ამყარებს მონაცემთა უსაფრთხოებას.

სკოლაში კომპიუტერებზე დაინსტალირებულია ანტივირუსული პროგრამები, რაც ხელს უწყობს სისტემების დაცვას. სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები განსაზღვრავს მონაცემების უსაფრთხო დამუშავების წესებსა და მექანიზმებს. ასევე, სკოლას იდენტიფიცირებული ჰყავს ის პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვს წვდომის უფლება პერსონალურ მონაცემებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლის ხარისხის უზრუნვლყოფის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა მიეკუთვნება სკოლის დამხმარე პროცესებს. დამხმარე პროცესები შემოწმებისათვისთვის გათვალისწინებულია წინასწარ შედგენილი შეფასების კითხვარი, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები. უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესის შეფასება მოიცავს: პროცესის შესაბამისობის შეფასებას მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან და პროცესის განხორციელების პრაქტიკის ინტერვენციები. შესაბამისად, სკოლას აქვ მზაობა უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგები გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** დოკუმენტში ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება'' დააზუსტოს თუ ვინ ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას, ვინაიდან დოკუმენტში მოხსენიებული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი არ არის გათვალისწინებული სკოლის საშტატო განრიგითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით.</u>

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომსახურების მიღებაზე;
- წერილი შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციის დასკვნის მომსაზადების მომსახურების მიღებაზე;
- წერილი საევაკუაციო გეგმების მომზადების თაობაზე;
- დარაჯის შრომითი ხელშეკრულება;
- სამედიცინო კაბინეტი;
- ექიმის ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები;
- დოკუმენტი ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება'';
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლას სარგებლობის უფლებით სახელმწიფოსგან გადაცემული აქვს 8980.00 კვ.მ მიწინ ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები (N1 – 3686.93 კვ.მ 3 სართულიანი; N2 – 1139 კვ.მ 2 სართულიანი). სკოლის სამ სართულიანი შემონობის პირველ სართულზე განლაგებულია: საკლასო ოთახები, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, ბიოლოგიის ლაბორატორია, ბუფეტი, მანდატურების ოთახი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ოთახი, საწყობი სივრცე და სველი წერტილები (მათ შორის ადაპტირებული). მეორე სართულზე განთავსებულია, ბიბლიოთეკა, სამოაქალაქო განათლების კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, კანცელარია, დირექციის სამუშაო სივრცე, მუსიკის ოთახი, სამზარეულო პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილების ფარგლებში კულინარიული აქტივობებისთვის, საკლასო ოთახები და სველი წერტილები. მესამე სართულზე განთავსებულია ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, ინგლისური ენის ოთახი და სველი წერტილები. ინგლისური ენის კაბინეტი სკოლაში მოეწყო მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მასწავლებლისა და

ინგლისურის მასწავლებლის ძალისხმევით, ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით. შენობის სამივე სართულზე არის თავისუფალი სივრცეები, რომლებსაც სკოლა იყენებს სააქტო დარბაზის დანიშნულებით სხვადასხვა ღონისძიებისთვის. სკოლის ეზოში მდებარეობს 2 სართულიანი შენობა, რომელშიც განთავსებულია დახურული სპორტული დარბაზი, თუმცა აღნიშნულ შენობას ესაჭიროება რეაბილიტაცია. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა, ელექტრო მომარაგება, ინტერნეტი. სკოლა აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით (297 ერთეული), სკამებით, დაფებით, სპორტული ინვენტარით და საბიბლიოთეკო რესურსებით. მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, სკოლა მიმართავს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დამატებითი მერხებისა და სკამების მოთხოვნით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სკოლის ეზო წარმოადგენს რეკრეაციულ სივრცეს, სადაც ტარდება სხვადსხვა აქტივობები და გამოიყენება შესვენებებზე. სპორტული ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით, ეზოთი, დერეფნებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს და სხვა რესურსებს. სკოლის ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო სივრცე პუფებით, მაგიდებით, აღჭურვილია კომპიუტერით, პროექტორით, პრინტერით, ეკრანით, შექმნილია ყველასათვის ხელმისაწვდომი სივრცე საკითხავად, ღონისძიებებისათვის, პრეზენტაციებისათვის, გამოფენისთვის და საკლუბო მუშაობისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელშიც გაწერილია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით, სპორტული ინფრასტრუქტურით და ინვენტარით, ბიბლიოთეკით და არამატერიალური აქტივებით სარგებლობის პირობები, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის რესურსების ხელმისაწვდომობას.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს შშმ პირებისთვის სრულად ადაპტირებული გარემო, მოცემულ ეტაპზე, სკოლაში არ ირიცხება და არ არის დასაქმებულია ეტლით მოსარგებლე შშმ პირი. შესაბამისად, არსებული სივრცეები და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის შენობის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა და სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც საბიბლიოთეკო სივრცეში თვალსაჩინოდ არის განთავსებული. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს 1800 ერთეულზე მეტ საკითხავ ლიტერატურას და სასკოლო სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნებით სარგებლობის აღრიცხვას სპეციალური ბარათებით. ბიბლიოთეკარის მიერ წიგნები აღრიცხულია სპეციალურ ჟურნალში, მინიჭებული აქვს ნომერი და თაროებზე განლაგებულია კონკრეტული სისტემატიზაციით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას აქვს მოძრავი მონიტორი, პროექტორი და ლეპტოპები. თუმცა, როგორც სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, *სკოლის მეორე და მესამე სართულებზე, სადაც განთავსებულია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, წვდომა არ არის უზრუნველყოფილი ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის ლიფტის/პანდუსის არარსებობის გამო. გარდა ამისა, სკოლის ეზოში ცალკე მდგომ შენობაში განთავსებულ სპორტულ დარბაზთანაც არ არის უზრუველყოფილი წვდომა შშმ პირებისთვის, რადგან შენობასთან მისასვლელი გზა არის ბუნებრივი ბალახის საფარით და უსწორმასწორო ზედაპირთ. თავად სპორტულ დარბაზში შესვლა, რომელიც განთავსებულია სკოლის ეზოში ცალკე მდგომ შენობაში, შეუძლებელია ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის დამატებით ზღურბლების/ბარიერების არსებობის გამო. სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების ფორმასთან ერთად წარმოადგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მითითებული იყო ლიფტის მოწყობა. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად კი განსაზღვრული იყო 22.03.2025-20.03.2027 პერიოდი. აღსანიშნავია, რომ შესაბამისობის გეგმაში არ იყო გათვალისწინებული სპორტული დარბაზის შშმ პირებისთვის ადაპტირება.*

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით განახლებული ვადებითა და აქტივობებით. შესაბამისობის გეგმით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.07.2025-07.07.2027 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად - შენობის მე-2 და მე-3 სართულებზე და სპორტულ დარბაზთან წვდომის უზრუნველყოფა შშმ პირთათვის. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის

წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „ნაწილობრივ" დაკმაყოფილებული.</u>

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლაში განხორციელებული აქტივობების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ინტენსიურად იყენებს სხვადასხვა ფიზიკურ სივრცეს, მათ შორის საკლასო ოთახებს, სკოლის ეზოსა და ღია სპორტულ მოედანს სხვადასხვა სახის ღონისძიებებისთვის. ხშირად ტარდება პროექტების პრეზენტაციები, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები, საკლუბო შეხვედრები და სხვა ტიპის აქტივობები, რომელშიც მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ. შესაბამისად, სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ არსებობას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის სართულები გეგმა;
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას სკოლა იყენებს eflow-ს სისტემაში საქმის წარმოებისას, Eschool-ის ბაზაში საქმიანობის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას, ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას. სკოლა აღჭურვილია 46 ერთეული კომპიუტერით, 5 ერთეული პროექტორითა და 5 ერთეული პრინტერით. დგინდება, რომ სკოლა აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით როგორც ადმინისტრაციული მუშაობის, ასევე საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.</u>

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტში ,,მატერიალური და არამატერიალური მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი'' დარეგულირებულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიით სარგებლობის პირობები და უზრუნველყოფილია რესურსების ხელმისაწვდომობა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური და არამატერიალური მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;
- სკოლის ბალანსი;
- ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების შიდა წესი, რომლის მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება, ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. სკოლის დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემდეგი სახის დოკუმენტაციას:
ა) შემოსული დოკუმენტაცია;
ბ) გასული დოკუმენტაცია;
ბ) შიდა დოკუმენტაცია.
საქმისწარმოების შიდა წესით განმარტებულია თითოეული სახე. დოკუმენტაციის რეგისტრაციისთვის სკოლა ელექტრონულ სისტემასთან ერთად დამატებით იყენებს სარეგისტრაციო ჟურნალებსაც. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება საქისწარმოების წესის შესაბამისად.
<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** გაასწოროს საქმისწარმოების წესში დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართი.</u>
<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow.emis.ge) საშუალებით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია (ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების და სხვა).
სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge. პირველ კლასელთა რეგისტრაციას სკოლა ახორციელებს სპეციალურ ბმულზე - registration.emis.ge. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: likhauri@mes.gov.ge. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს პროფილი eSchool.emis.ge-ს სისტემაში, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, საშტატო განრიგი, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია, საგაკვეთილო ცხრილი, სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ მონაცემები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა თანამშრომლობს და სისტემატურად აწვდის ინფორმაციას ოზურგეთის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ყოველი წლის 10 დეკემბერს უგზავნის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე 10 დეკემბრამდე დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გვერდზე 20 ნოემბრამდე არეგისტრირებს სკოლის შესყიდვების გეგმას და წარადგენს ხელშეკრულების შესრულების შესახებ ანგარიშს დადგენილ ვადაში.

იჯარის ფორმით ფართის სარგებლობაში გაცემის თაობაზე წარმოებული დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა ანგარიშს აწვდის შესაბამის უწყებებს. ასევე, ინკლუზიური განათლების განხორციელების თაობაზე, სკოლა მონიტორინგის ანგარიშს წარუდგენს შესაბამის უწყებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- 10 დეკემბრამდე წარდგენილი ანგარიშები სამეურვეო საბჭოსათვის;
- 10 დეკემბრის ანგარიში საჯარო ინფორმაციის შესახებ;
- წერილობითი კომუნიკაცია სხვადასხვა უწყებასთან ანგარიშის წარდგენის თაობაზე.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი/ელექტრონული პორტალი, რომელსაც აქვს საინფორმაციო დანიშნულება.
სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმადაც სკოლის მნიშვნელოვან საკომუნიკაციო საქმიანობის რესურსს საინფორმაციო სივრცის/პლატფორმის, გარდა წარმოადგენენ სკოლაში დასაქმებული თანამშრომლები და მოსწავლეები რადგან, შესაბამისად მათი ეფექტური ინფორმირება სკოლაში მიმდინარე მოვლენებზე, დამატებითი კომუნიკატორის როლს ასრულებს. თანამშრომლებისათვის და მოსწავლეებისთვის ინფორმაციის ცირკულაცია ხდება: სატელეფონო კავშირის, სკოლას ვებ-გვერდის, სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის, სკოლას ღია სივრცეში საინფორმაციო დაფაზე ინფორმაციის გამოქვეყნების, პირდაპირი კომუნიკაციის გზით შეხვედრების ფორმატის საშუალებით, სადაც დამსწრე საზოგადოებას წარედგინება ინფორმაცია/პრეზენტაციები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე და განიხილება პრიორიტეტული თემები.

სკოლის სოციალური ქსელის გადამოწმებით დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხორციელდება სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. სოციალური ქსელი იძლევა საშუალებას დამყარდეს ომხრივი კომუნიკაცია და უკუკავშირი სასკოლო საზოგადოებასთან.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლამ 2025 წლის 05 მარტს დაამტკიცა ,,საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი'', რომლის თანახმადაც, სკოლა უზრუნველყოფს გონივრულ ვადაში მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას ვებ-გვერდისა და სოციალურ მედიის საშუალებით. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სოციალურ ქსელში სანდო და უტყუარი ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორის მოადგილე და მასთან თანხმდება ის ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება სკოლის სახელით. ვე-გვერდისა და სოციალური ქსელის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>,,საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის'' შესაბამის მუხლებში, სკოლის საკომუნიკაცი არხებს მეშვეობით სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელ პირად ასახოს დირექტორის მოადგილი, პირი, რომელთანაც ფაქტობრივად თანხმდება გასავრცელებელი ინფორმაცია (რეგულაციაში ასეთ პირად განსაზღვრულია საინფორმაციო მენეჯერი).</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს: Email.mes.gov.ge, სკოლის კანცელარია, Microsoft Teams; ჯგუფები სოციალურ ქსელში. სკოლის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ აღნიშნული არხებით მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგებს იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

2025 წლის 05 მარტს დამტკიცებული ,,საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის'' მიხედვით, სკოლის საქმისმწარმოებელი სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ ახდენს სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმიდან შემოსული შეკითხვების,

შენიშვნების და/ან რეკომენდაციების ანალიზს. ანალიზის შედეგად აყალიბებს რეკომენდაციებს, რომელსაც წარუდგენს დირექტორს რომლის საფუძველზეც ხორციელდება კომუნიკაციის მექანიზმების და საკომუნიკაციო არხების მუშაობის გაუმჯობესება.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>,,საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესში'' შეიტანოს ცვლილება სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართთან დაკავშირებით.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე/პორტალზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმები, მოსწავლის, მსობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლის ვებ-გვერდი/პორტალის გადამოწმებით დადგინდა, რომ მასზე არ იყო განთავსებული პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, რომლებზეც ახორციელებს საქმიანობას, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. შესაბამისობის გეგმით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 15.09.2025-15.10.2027 პერიოდი,

ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად - ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული დოკუმენტაციის/ინფორმაციის განთავსება. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი/პორტალი;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას აქვს სამეურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი. სკოლის ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტი ძირითადად შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან. სკოლას ერიცხება სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე მასწავლებელთა დანამატები და სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება, მაგალითად როგორიცაა ექიმის კაბინეტის ფუნქციონირებისთვის საჭირო დაფინანსება. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ და საოფისე ხარჯეზე. სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, იღებს დამატებით დაფინანსებას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან. სკოლას ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები საიჯარო ხელშეკრულების ფარგლებში. სკოლის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მიღებული დაფინანსების ფარგლებში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ყოველი წლის დეკემბერში ამტკიცებს მომდევნო წლის ბიუჯეტს. შესყიდვების განხორციელების წესის შესაბამისად კი ადგენს შესყიდვების წლიურ გეგმას და არეგისტრირებს შესყიდვების სააგენტოს გვერდზე არაუგვანეს ყოველი წლის 20 ნოემბრისა. ფინანსური რესურსების მონიტორინგის სისტემა მოიცავს ანგარიშვალდებულებას სამეურვეო საბჭოს წინაშე ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, ასევე შესყიდვების სააგენტოსთან და შემოსავლების სამსახურთან. საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ ხორციელდება ბიუჯეტის და შესყიდვების გეგმის დაზუსტება და დაკორექტორება მათი დამტკიცების წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;

- სკოლის ბიუჯეტი;
- შესყიდვების წლიური გეგმა;
- სკოლის ბალანსი;
- ფინანსური ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლეთა კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლას აქვს შემუშავებული რიგი შიდა დოკუმენტები და რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც მოსწავლეთა, ასევე სხვა მონაწილე მხარეების – პედაგოგების, მშობლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების უფლებების დაცვასა და უსაფრთხო გარემოს შექმნას. ეს რეგულაციებია:

- სკოლის შინაგანაწესი, რომელიც ასახავს სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და პასუხისმგებლობებს;

- შიდა რეგულაციები, რომლებიც იცავს მოსწავლეების, სკოლის პერსონალისა და მშობლების კანონიერ უფლებებს;
- დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს უსაფრთხოებას როგორც ადამიანებისთვის, ისე სასკოლო პროცესებისთვის;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესები, რომლებიც მხარს უჭერს მათ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში;
- ძალადობის პრევენციის ინსტრუქციები, რომლებიც იცავს ბავშვებს შესაძლო საფრთხისგან;
- წესები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეცვლისა და საფეხურის დაძლევის პროცედურებს;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებას.

სკოლის შიდა რეგულაციები, პროცესებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული გარემო ხელს უწყობს მოსწავლეების ინტერესების დაცვას და მათთვის კანონით გარანტირებული უფლებების რეალიზებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

კლასის დამრიგებლებს წლის დასაწყისში შედგენილი აქვთ სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ საკითხებს. მათ შორის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირების აქტივობას სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია დოკუმენტები – სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლის ქცევის კოდექსი. გარდა ამისა, საკლასო ოთახებსა და დერეფნებში განთავსებულია ქცევის წესები.

სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე სასკოლო ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, რაც მშობლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას მუდმივად იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლას მიეცა რრეკომენდაცია, რომ არსებული შიდა რეგულაციები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახადოს სკოლის ოფიციალურ ვებსაიტზე ან ონლაინ პორტალზე, რათა უფრო მეტი გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა იყოს უზრუნველყოფილი.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>შიდა სასკოლო რეგულაციები განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე/პორტალზე, უფრო მეტი გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და მოქმედო კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება. აღნიშნული დოკუმენტი სრულად შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებს და განსაზღვრავს სკოლის ვალდებულებებს, ასევე მშობლისა და მოსწავლის უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა ხელშეკრულებების განახლების პროცესი საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეების მშობლებთან. სკოლას მშობლებთან ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სასკოლო სახელმძღვანელობეის გადაცემის თაობაზე.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესით;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შიდა რეგულაცია;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესით;
- ბავშვთა მიმართ განხრციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, საფეხურის დაძლევის მარეგულირებელი შიდა წესი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს შიდა დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცესს. ეს რეგულაცია დეტალურად აღწერს პირველ კლასში რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესს, მობილობის პროცესს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხვის პირობებს, ასევე ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნებს. დოკუმენტში, ასევე, გაწერილია მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესები. რაც შეეხება მოსწავლის კლასის და საფეხურის დაძლევის საკითხს, აღნიშნული დარეგულირებულია სასკოლო სასწავლო გეგმით.

სკოლის შიდა რეგულაციები სრულად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“, ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა**, მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და მობილობის შიდა წესიდან ამოიღოს რეგულაცია, რომელიც ეხება ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლის სტატუსის შეწყვეტას, ვინაიდან აღნიშნული რეგულაცია გათვალისწინებულია მხოლოდ კერძო სკოლისთვის.</u>

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, ასევე კლასის/საფეხურის დაძლევის შესახებ სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებების ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლა აღნიშნულ პროცესებს ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

გარდა ამისა, მოსწავლეთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლის მიერ დაცულია ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევის და სტატუსის შეჩერების წესები.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურეობების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას სკოლა უზრუნველყოფს საინფორმაციო დაფის და სოციალური ქსელის საშუალებით.

სკოლაში ფუნქციონირებს ფრენბურთის წრე, ქართული ენისა და ლიტერატურის წრე, ქიმიის წრე - „ქიმია ყველაფერია“, ისტორიის წრე - „ექვთიმე“, მკითხველთა წრე „იალქანი". სკოლაში ფუნქციონირებს საშემოდგომო და საგაზაფხულო ინგლისურენოვანი კლუბი „რა? სად? როდის?“, ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი. წრეებისა და კლუბების შესახებ ინფორმაცია ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაცია არის გამჭვირვალე და არადასკრიმინაციული. სკოლის დირექციის განმარტებით, ინფორმაცია რომელიც ვრცელდება სკოლის სახელით ან სკოლის პერსონალის მხრიდან, შეთანხმებულია სკოლის დირექციასთან.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და მობილობის შიდა წესიდან ;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, აღდგენის, კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი და ვებ-გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მიზანია მოსწავლეების მხარდაჭერა ახალ, სასკოლო გარემოსთან შეგუებაში. დოკუმენტი განისაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებსა და ფაქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისთვის. ადაპტაციის წესი უზრუნველყოფს პირველკლასელების, მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მარტივად ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. დარეგულირებულია მათი მიღების, გაცნობისა და ინტეგრაციის პროცესი, რაც ხელს უწყობს მათ სწრაფ ინტეგრაციას სასწავლო გარემოში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მოსწავლის ადაპტაციის წესი არეგულირებს პირველი კლასიდან მოსწავლის ადაპტაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს. წესი ითვალისწინებს სასწავლო წლის დაწყებამდე სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით ადაპტაციის პროცესების ხელშეწყობას, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წიგნების დათვალიერება და სასკოლო სიტუაციების აღწერა, თუ ბავშვის დედმამიშვილები დადიან სკოლაში, მათი მაგალითების აღწერა, სასკოლო თემასთან დაკავშირებული მოკლე

ვიდეოების/ანიმაციების ყურება და ბავშვთან ერთად მისთვის გასაგები ფორმით განხილვა, კომუნიკაციის დამყარება დამრიგებელთან და სხვა მასწავლებლებთან.

როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, პირველი კლასის მოსავლეებისთვის ეწყობა მისასალმებელი აქტიოვობები, საკლასო ოთახების მოწყობა ხდება ისე, რომ ბავშვებისთვის იყოს პოზიტიური გარემო, რაც გაუადვილებს მათ უცხო გარემოსთან ადაპტაციას.

გარდა პირველი კლასის, მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობს ღონიძიებებს სკოლა მიმართავს ნებისმიერ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაშიც.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

დირექციასთან გამართული გასაუბრების დროს გახდა ცნობილი, რომ სკოლა მუდმივად გამოხატავს მზადყოფნას, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის გასაწევად, როგორც აკადემიურ, ისე საორგანიზაციო მიმართულებებში.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის კონსულტაციებს ექსტერნატის ფორმატით სწავლის ან საშემოდგომო გამოცდების წინ. საჭიროებისამებრ, მოსწავლეთა საგანმანათლებლო ან პროექტული ღონისძიებებისთვის სკოლა გამოყოფს შესაბამის სასკოლო სივრცეებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში რეაგირებს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებზე. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი და წრე. სკოლის დოკუმენტაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ დადგენილ ვადებში ხორციელდება გამოცდების ჩატარება, მოსწავლეთა კონსულტირება, განცხადებაზე რეაგირება და მოსწავლეთა უფლებების რეალიზება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი, რომლის თანახმადაც, მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა. მოსწავლეს ან/და მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას/კლასის დამრიგებელს/დირექციას და ჩაერთოს ინიციატივის განხილვის პროცესში. მოსწავლეთა თვითმმართველობა ან/და კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივას და მიმართოს სკოლის დირექციას. სკოლის დირექცია გამოთქვამს მზადყოფნას მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა და პერსონალის ინიციატივებს მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული ინიციატივების განხორციელებაში. სწორედ მოსწავლეთა ინიციატივით სკოლაში უკვე 4 წელია ტარდება ხელნაკეთი ნივთების საახალწლო საქველმოქმედო აქცია, მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების მიერ დამზადებული ხელნაკეთი საახალწლო ნივთების გამოფენა -გაყიდვა, რომლიდანაც შემოსული თანხა ხმარდება სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახებს და მარტოხელა მოხუცებს. ეკოკლუბის და სამეწარმეო წრის საქველმოქმედო აქცია ტარდება ყოველ გაზაფხულზე. მოსწავლეების მიერ გამოყვანილი ჩითილები ასევე გადაეცემა სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახებს და მარტოხელა მოხუცებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მოსწავლეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით სკოლა იყენებს უკუკავშირის ფორმებს, როგორიცაა მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლების გამოკითხვა უკუკავშირის მისაღებად. კითხვარების შინაარსი ემსახურება სასკოლო საზოგადოებისგან ინფორმაციის მოპოვებას და შეფასებას. მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას ემსახურება დამრიგებლების, დირექტორის მოადგილის და სხვა პასუხისმგებელი პირების ანგარიში გაწეული საქმიანობის თაობაზე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა კონსულტაციების განრიგი ექსტერნის გამოცდის წინ;
- პასუხისმგებელი პირების ანგარიშები;
- მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლების კითხვარები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას არაფორმალურ განათლებაში, კერძოდ, სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული პროფესიულ კოლეჯთან და პერიოდულად სკოლის ბაზაზე ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს (გიდის, კულინარიისა და სამკერვალო დიზაინის კურსები). პროფესიულ კოლეჯთან თანამშრომლობით სკოლამ რამდენჯერმე მოაწყო გაცნობითი ვიზიტები ოზურგეთის სამეწარმეო ობიექტებში, კოლეჯში. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ოზურგეთის ტექნოპარკთან.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სადამრიგებლო საათის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროფესიის წარმატებული ადამიანების მოწვევა კარიერული განვითარების საკითხებზე ინფორმირების და დისკუსიით მიზნით. მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას სკოლა ახორციელებს მშობელთა კრებებზე, სადამრიგებლო საათის ფარგლებში. სკოლის მოსწავლეების ინტერესების შესაბამისად, სკოლაში წარმატებით ხორციელდება კურსები პროფესიულ საწავლებელთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.

სკოლაში განთავსებულია სტენდი, რომელზეც სვადასხვა დარგში (სპორტის მიმართულებით, აკადემიური კუთხით და სხვა) მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატების აღსანიშნავად ქვეყნდება ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლასა და პროფესიულ კოლეჯს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში უკვე რამდენიმე წელია აქტიურად ხორციელდება პროფესიული პროფესიულ პროგრამები (გიდის, კულინარიისა და სამკერვალო დიზაინის კურსები). აღნიშნული პროგრამის ეფექტურიანობაზე მეტყველებს სკოლის მოსწავლეების მაღალი დაინტერესება პროფესიული განათლებით. სწორედ გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინებით, სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელსაც შესტავაზა მომსახურება მოსწავლეებს. სკოლის დირექციამ გასაუბრების დროს განმარტა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსაც გეგმავს განახორციელოს პროფესიული ორიენტაციის მომსახურების კუთხით გაწეული მომსახურების შეფასება და შედეგებს გამოიყენებს მომდევნო სასწავლო წლის საქმიანობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი კოლეჯ ,,ჰორიზონტთან";
- პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად მოწყობილი სივრცეების ვიზუალური დათვალიერება.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმასა და ცალკე შემუშავებულ ინკლუზიური განათლების პროგრამაში. მექანიზმები არეგულირებს სსსმ მოსწავლეებისთვის

საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების პირობებს, სასკოლო გარემოს, სსსმ პირის სტატუსის მინიჭების პირობებს. მოსწავლეთა ადაპტაციის წესში გაწერილია შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ეფექტურ ინტეგრაციას სასკოლო გარემოში.

სკოლაში ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები და თითოეული მათგანისთვის ისგ ჯგუფის მიერ შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლაში დასაქმებულები არიან სპეციალური მასწავლებლები და სსსმ პირის ასისტენტები. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება რესურს ოთახში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დაკომპლექტებულია ისგ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორს საგნების მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი, ისე მოსწავლის მშობელი. ისგ ჯგუფი იკრიბება წელიწადში 4-ჯერ და განიხილავს სსსმ მოსწავლის სწავლების სტრატეგიებს, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და თანამშრომლობას სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის პროცესში. სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სკოლაში იმართება სხვადასხვა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობენ სსსმ მოსწავლეებიც.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება;
- ისგ ჯგუფების შექმნის ბრძანებები;
- ისგ ჯგუფის ოქმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობს საწრეო და საკლუბო მუშაობას. აღნიშნულ მომსახურებას არ სჭირდება მარეგულირებლის მხრიდან თანხმობა.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტირების მომსახურებასაც, რომელიც ხორციელდება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით. ტრანსპორტირების მომსახურების პროცესი კონტროლდება სკოლის დირექტორი მხრიდან და სკოლა აწარმოებს შესაბამის გამოცხადების ტაბელს.

სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო ბუფეტი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სკოლის სამეურვეო საბჭოსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შესაბამისი თანხმობის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს კვების ბლოკის საქმიანობის მონიტორინგს სპციალური კომისიის მეშვეობით.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>მონიტორინგის კომისია დააკომპლექტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის 523 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის დადგენილი მოთხოვნების“ შესაბამისად, კერძოდ, კომისიაში შეიყვანოს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები და მშობლები.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

წრეებში მოსწავლეებისათვის მომსახურების მიწოდება არის ნებაყოფლობითი და დამოკიდებულია მშობლის სურვილზე. თითოეულის წრისა და კლუბის ფარგლებში გაწერილია სათანადო სამოქმედო გეგმა, მშობლები კლასის დამრიგებლებისაგან იღებენ ინფორმაციას, ეცნობიან დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების აქტივობებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. სკოლაში მოქმედი უსაფრთხოების წესებისა და რეგულაციების განუხრელ შესრულებას უზრუნველყოფენ სკოლის დირექცია და მანდატურის სამსახური.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- იჯარის დოკუმენტაცია;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ტაბელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიზანია განსაზღვროს რა მეთოდებსა და მექანიზმებს იყენებს სკოლა კურიკულუმის განვითარებისთვის (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია). დოკუმენტში გაწერილია რეგულაციები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი, განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები, მათი პასუხისმგებლობა. მეთოდოლოგია აღწერს სასკოლო კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება, ასევე, ჩანს კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რევიზიის დეტალები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, რომლებიც ასახულია წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში და პროექტებში. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს

სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან მათ ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ აქტივობების შესახებ და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ასევე, გათვალისწინებულია საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით ადაპტირებული გეგმების შემუშავება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა აპირებს უფრო აქტიურად გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების აზრის შესწავლის სხვადასხვა ინსტრუმენტი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მასწავლებლები და სკოლის დირექცია მუდმივად აწვდიან მშობლების ინფორმაციას დაგეგმილი თუ მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რაც ადასტურებს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. სკოლას შექმნილი აქვს სოციალური ქსელი, კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ ონლაინ ჯგუფები, რომლის საშუალებით ხდება ინფორმაციის მიწოდება სასკოლო საზოგადოებისათვის. ასევე ინფორმაციის მიწოდება ხდება სამუშაო შეხვედრებზე. სკოლის გეგმებშია კურიკულუმის შემუშავებისა და რევიზიის პროცესში დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც სკოლის მოსაზრებით ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ სასკოლო კურიკულუმის მიმართ მიკუთვნებულობის განცდის გაძლიერებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-25.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულიმები სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლის განვითარების გზას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი შუალედური მიზნები, წარმოდგენილი თემები, რესურსები და შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. ამასთან ერთად, კურიკულუმებთან დაკავშირებით **სკოლას მიეცა რჩევები:** წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (ისტორიაში, საქართველოს ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში) მოიცავს შემდეგ კომპონენტებს - თემა, საკითხთა კლასტერი, სამიზნე ცნება, კომპლექსური დავალების პირობა, რესურსები. თუმცა, გეოგრაფიის კურიკულუმში არ არის გაწერილი ქვეცნებები, საკითხები არ არის კლასტერებად დაყოფილი, ასევე არ არის გაწერილი მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად, სასურველია გეოგრაფიის კურიკულუმში გაიწეროს ქვეცნებები, საკითხები დაიყოს კლასტერებად და გაიწეროს

	მაგალითები შედარებისთვის. სამიზნე ცნების სვეტში ასევე სასურველია მიეთითოეს ქვეცნებები. რესურსების სვეტში კი მიეთითოს კონკრეტული რესურსები (მაგალითად, თემატური რუკების ნაცვლად მისათითებელია კონკრეტული რუკები. გეოგრაფიის კურიკულუმებიდან აგრეთვე ამოსაღებია შეფასების სვეტი.
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რაც გამოიხატება დაგეგმილ თემატურ ერთეულში, შუალედურ დავალებებსა და შეფასებებში. გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურება, ინტერესი და შესაძლებლობა. ამასთანავე, სკოლას ხშირად სტუმრობს მშვიდობის კორპუსის წარმომადგენელი, სხვადასხვა საგანმანათლებლო - სასწავლო მიზნით. რაც ხელსუწყობს, სამიზნე (ინგლისურ) ენაზე ინტერაქციას.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, ასახულია მოსწავლეთა მზაობა და ინტერესები და მიემართება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ შედეგებს. შესაბამისად, ესთეტიკის მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. **<u>რჩევა</u>:** 1. სასურველია ყველა კლასის კურიკულუმი გაიწეროს ერთი სახის ფორმაში; 2. კურიკულუმებში გაიწეროს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკის შესაბამისი თემები.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებით სკოლაში სწავლება იგეგმება ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემების ფარგლებში მოცემულია შუალედური მიზნები კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებების სახით, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტმაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. კომპლექსური დავალებები/შემოქმედებითი ტიპის დავალებები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და საჭიროებებს, ხელს უწყობენ

	შემოქმედებითობას, იძლევიან დავალების დიფერენცირების საშუალებას, ითვალისწინებენ მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესებს.
მათემატიკა	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. კლასების მიხედვით წარმოდგენილი კურიკულუმები სტრუქტურირებულია, თემების მიხედვითაა დალაგებული და მიემართება სამიზნე ცნებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები (მატერიალური, ელექტრონული) მასწავლებელს საშუალებას აძლევს დააკმაყოფილოს სხვადასხვა ტიპის მსწავლელის საჭიროება და უზრუნველყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური ტემპისა და სტილის გათვალისწინება სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და ხელს უწყობს ცოდნის და უნარების ინტეგრირებულად განვითარებას.
სპორტი	შემუშავებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. მასში შერჩეული სპორტის სახეობებით, როგორიცაა მძლეოსნობა, ფეხბურთი, ფრენბურთი და სხვა ძირითადი აქცენტი კეთდება ისეთი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, რომელიც მოსწავლის ინტერესებზე, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზეა ორიენტირებული. სწავლება ხდება მოსწავლის აქტიური ჩართულობით, რაც თავის მხრივ ზრდის მათ მოტივაციას.
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რასაც ადასტურებს კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე ორიენტირებული მიდგომა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის.

	კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმები შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალების ბარათები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და საჭიროებებს

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმები ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მტკიცებულებების სახით წარმოადგინა საზოგადოებრივი მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმები. ისტორიის, გეოგრაფიის და მოქალაქეობის კურიკულუმები ორიენტირებულია შესაბამის საგნობრივ სამიზნე ცნებებზე. ამასთან ერთად, აღნიშნულ საგნებში მუშავდება გლობალური ფუნქციური უნარები.
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: თითოეული საფეხურის კურიკულუმში მოცემული, დაგემგილი თემატური ერთეული მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზანს. ინგლისური ენის მიმართულებით, ეს მკაფიოდ ხაზგასმულია. **რუსულ ენაში, (სამიზვე საფეხურზე) სკოლას მიეცა <u>რჩევა</u>,** ეროვნული სასწვლო გეგმით განსაზღვრული მიზნების უკეთ შესაბამისობის მიზნით, კურკულუმში გამოკვეთოს

	კონკრეტული სამიზნე ცნებები (რომელიც, არსებულ კურიკულუმში გამოხატულია სტანდარტის შედეგებით).
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტების მისაღწევი შედეგები. ასევე, გათვალისწინებულია ესთეტიკის მიმართულების საგნების სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. შესაბამისად, მიემართება ესგ–ით განსაზღვრულ მიზნებს.
სახელმწიფო ენა	კურიკულკუმები მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს, რაც გამოხატულია ე.წ. გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების გაწერით. არის რამდენიმე უზუსტობა საკითხის, დავალების იდეისა და კონტექსტმაგალითების ფორმულირებისას. არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა სკოლას ერთსა და იმავე ჩარჩოში დავალების იდეა გაიგივებული აქვს საკითხთან, საკითხი _ საყრდენ ტექსტებთან (კონტექსტ-მაგალითებთან). როგორც წესი, თემა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ემთხვევა სახელმძღვანელოს თავის სათაურს, თემის მიხედვით განისაზღვრება საკითხიც (გამომდინარეს თემიდან) და საყრდენ ტექსტებს ვუწოდებთ კონტექსტ-მაგალითებს. *ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სამივე საფეხურზე, ერთი და იმავე კლასის კურიკულუმების ჩარჩოებში აღრეული იყო სასწავლო ერთეულები, კერძოდ, საკითხის, დავალების იდეისა და კონტექსტმაგალითების ფორმულირება.* ***სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებულია პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის გეგმით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 13.06.2025-08.09.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად სამივე საფეხურზე - კურიკულუმის კორექტირება. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე, სამივე საფეხურზე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც - „მეტწილად შეესაბამება" - სამივე საფეხურზე.*** ***სკოლა მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.*** ***<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>***

მათემატიკა	კურიკულუმით განსაზღვრული ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებების იდენტურია. შემოქმედებითი დავალებები ორენტირდება სამიზნე ცნებებზე და მოიცავს პრაქტიკულ/ცხოვრებისეულ დავალებებს. ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბება/განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, პრობლემების გადაჭრა და ემსახურება საკვანძო კომპეტენციების განვითარებას. სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ განსხვავებებს და მიმართულია მათი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისკენ რაც სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანთან – შექმნას თითოეული მსწავლელისათვის თანაბარ ხელმისაწვდომი და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო. სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები ხელს უწყობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი მიზნების/მოსწავლის ცოდნისა და უნარების განვითრებას.
სპორტი	წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები ეფუძვნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და სტანდარტებს და მიზნად ისახავს მასში განსაზღვრული საგანმანათლებლო ამოცანების შესრულებას და მისი მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. გაწერილი აქტივობები, როგორიცაა სასკოლო სპორტული ფესტივალი, მოძრავი თამაშები, კედლის გაზეთი, ბუკლეტები და სხვა კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას განაპირობებს.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში, იმ კლასებში, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. მიმართულებების მიხედვით არ არის განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. **<u>რჩევა</u>:** სასურველია განახლდეს ყველა კლასის კურიკულუმი, რადგან მიმართულებების მიხედვით ყველა სამიზნე ცნება და მასში შემავალი საკითხები უნდა იყოს დამუშავებული მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობის გათვალისწინებით, რათა დაძლეულ იქნას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით დაწყებითი საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგი.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში თემები ძირითადად გაწერილია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით (ბუნებისმეტყველების IV კლასში თემები არ შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს). გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. მე და საზოგადოებაში არ მუშავდება ცნება „პიროვნება“, ასევე კურიკულუმში ჩამატებული იყო ისეთი სვეტები (ესგ-ს მიზნების და შედეგების), რაც არ იყო სკოლის მიერ დამტკიცებულ კურიკულუმის ჩარჩოებში, რის გამოც **სკოლას მიეცა <u>რჩევა</u>,** გაეთვალისწინებინა აღნიშნული.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად” დაკმაყოფილებიულია.</u>

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ის რესურსები, რომლებიც დაეხმარებათ მიზნების განხორციელებაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი, მათ შორის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, მიზნად ისახავს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. ეს რესურსები ისეა შერჩეული და დამტკიცებული, რომ უზრუნველყოფენ მოსწავლის თვითრწმენისა და თავდაჯერების განვითარებას, საინტერესო და დაძლევად აქტივობებში ჩართვას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეების პროგრესს, საკუთარი თავის შეფასებას და პასუხისმგებლობის გაზრდას სწავლის მიმართ.
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნის შესაბამისი რესურსი (ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები) მიზნობრივია, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში, თითოეული გაწერილი თემისთვის განსაზღვრულია საჭირო საგანმანათლებლო და რიგ შემთხვევაში დამატებითი, ასევე, ელექტრონული რესურსები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმში მითითებულია იმ ტიპის რესურსები, რომლებიც სწავლის შედეგის მისაღწევადაა საჭირო. საჭიროების შემთხვევაში კათედრა მიმართავს დირექციას საჭირო რესურსის მოძიების მიზნით, რაც ფინანსური გეგმის შემუშავებისას ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. გარდა ამისა სემესტრის/სასწავლო წლის დასრულების შემდეგ პედაგოგები კათედრის სხდომაზე განიხილავენ თემების შესწავლის მიმდინარეობას, სადაც სხვა საკითხებთან ერთად აანალიზებენ გამოყენებული რესურსების ეფექტურობას.
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული სამიზნე ცნებ(ებ)ის დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით განაწილებულია/წარმოდგენილია ისე, რომ თითოეული მათგანი მიზნად ისახავს კონკრეტული სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევას. ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და სხვა მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას, რაც კურიკულუმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. რესურსები ითვალისწინებს დიფერენცირებულ სწავლებას და საშუალებას აძლევს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეს მიაღწიოს სასწავლო მიზნებს.
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული ისეთი, რესურსები, როგორიცაა სპორტული მოედანი, ინვენტარი, ჰიპერლინკებში ჩაშენებული პრეზენტაციები, თუ ელ. წიგნები რომლის გამოყენებას ხდება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სწავლის შედეგების მიღწევას

	განაპირობებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა განივითარონ ფიზიკური თვისებები, ჯანმრთელი ცხოვრების წესისადმი პოზიტიური დამოკიდებულება.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსები (მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი School.emis.ge, Scratch, Minecraft: Education Edition, Office 365, „ვსწავლობთ თამაშით“, ,,გამარჯობა რუბი“ და სხვა) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან აღნიშნული რესურსი დატვირთულია საინტერესო კომპლექსური დავალებებით და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. **<u>რჩევა</u>:** სასურველია სამიზნე ცნება ,,ციფრული მოქალაქეობის“ დამუშავების დროს გამოყენებულ იქნას რესურსი „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის“, რომელიც ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს მოიცავს ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და მითითებულია გვერდები, ასევე რამდენიმეგან მითითებულია მაორგანიზებელი სქემები. თუმცა გასაუბრების პროცესში პედაგოგები საუბრობდნენ იმ ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე, რომლებსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. კერძოდ დაასახელეს ბუნებისმეტყველების სწავლებისას ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება. სკოლას მიეცა **<u>რჩევა</u>**, კურიკულუმში შეიტანონ ყველა გამოყენებული რესურსი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებას სამივე საფეხურზე. ჰყავთ სსსმ მოსწავლეებიც და შესაბამისად იყენებენ ისგ-ებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს, რაც მასწავლებლებმა აგრეთვე გაითვალისწინეს კურიკულუმის შექმნის დროს. მასწავლებლები მოსწავლეებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტებს სთავაზობენ და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უმარტივებენ დავალების პირობას. გარდა ამისა, მასწავლებლებს გააჩნიათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ.
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: შუალედური მიზნის მისაღევად განსაზღვრულია, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რას თავისთავად გულისხმობს დიფერცირებულ მიდგომას, რადგან მიზნის მისაღწევად გამოყენებულია სახვადასხვა ტიპის აქტივობები (დავალებები).
ესთეტიკური აღზრდა	სწავლების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობა. მოსწავლეებს მიეწოდებათ შესაბამისი სირთულის მასალა/დავალებები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას.
მათემატიკა	სკოლაში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების

	მქონე მოსწავლეებისა და განსხვავებული აკადემიური დონეების მქონე ბავშვების სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. სსსმ მოსწავლეებისათის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გაწერილი თემები: მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი და სხვა, საკითხები: ბურთის ტარება, გადაცემა, მმითება დარტყმა განსახორციელებელი კომპლექსური ტიპის დავალებები: სპორტული ფესტივალები გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და მათ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულობაზე. გაწერილი კომპლექსური ტიპის დავალები ითვალისწინებს ყველა მოსწავლისათვის თანაბარ გარემოს, თითოეულს ეძლევა შანსი განივითაროს ფიზიკური უნარები, მოიპოვოს თვითდაჯერებულობა და განამტკიცოს სოციალური ჩართულობა ისეთი აქტივობებით, როგორიცაა სპორტული ფესტივალი, მხიარული თამაშები პრეზენტაცია, ნახატები, კედლის გაზეთი და სხვა.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. კურიკულუმი წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტ მაგალითების და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, მასწავლებელს მოსწავლეებისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული აქვს მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. ტექნოლოგების მასწავლებელს შედგენილი აქვს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა შეიტანონ ცვლილებები კურიკულუმებში და მოარგონ კლასის და მოსწავლეების საჭიროებებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, გასაუბრების დროსაც მათ ისაუბრეს კონკრეტულ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებასა და დავალებების ადაპტირებაზე.

	ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე დადგიდა, რომ უშუალოდ ისგ-ში (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება) წარმოდგენილი ცნებები არასწორად იყო მითითებული და არ იძლეოდა სსსმ მოსწავლის განვითარების სრულ სურათს. დიფერენცირებული მიდგომა გათვალისწინებული იყო კურიკულუმებში სხვადსხვა ჟანრის, თემის თუ დავალებების შეთავაზების პროცესში. ***სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებულია პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის გეგმით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 13.06.2025-15.10.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად დაწყებით საფეხურზე - ახალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ცნებები და იძლევა სურათს სსსმ მოსწავლის განვითარების თაობაზე. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე, დაწყებით საფეხურზე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც - „მეტწილად შეესაბამება".*** ***სკოლა მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.*** **<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებიულია.</u>**

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებიულია.</u>

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებაც. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება კომპონენტების მიხედვით. იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარებათ შეფასების სანდოობაში, გამჭვირვალეობასა და ვალიდურობაში. ხშირად ახდენენ განმავითარებელი შეფასების მიცემას, რაც ეხმარებათ მიღწევების ამაღლებაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, აგრეთვე განმავითარებელ შეფასებას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებს.
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: მოცემულია შეფასების ზოგადი სქემები, რომელიც ნაკლებად ითვალისწინებს კონკრეტულ თემაზე მორგებულ შეფასებას. გამომდინარე აქედან სკოლას **მიეცა <u>რჩევა</u>,** შექმნას შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული შეფასების სქემა.
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლები იცნობენ ესგ–თი განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღსანიშნავია, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკის კათედრაზე, ვინაიდან აქ პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შემოქმედებითი ხედვა.
სახელმწიფო ენა	სკოლას შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკები ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტს.
მათემატიკა	მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სისტემა ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, განვითარების პრინციპს და მიზნად ისახავს არა

	მხოლოდ აკადემიური შედეგების დადგენას, არამედ სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, პიროვნული ზრდის ხელშეწყობას და მოსწავლის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას. სკოლას შემუშავებული აქვს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითრებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება როგორც სამიზნე ცნებას ასევე ცალკეულ მათემატიკური ცნებების და პროცედურების ფლობის დონის განსაზღვრას. შეფასების კომპონენტები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისია.
სპორტი	შემუშავებული შეფასების რუბრიკები შესაბამაისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებთან და ეფუძნება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შეფასების შესაძლებლობებას ისეთ კომპონენტებით, როგორიცაა ფიზიკური თვისებები, უსაფრთხოებისა და თამაშის წესების დაცვა, გუნდური მუშაობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის გაცნობიერება.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიებში წარმოდგენილია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები -კრიტერიუმებთან მიმართებით, სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ტექნოლოგიების მასწავლებელი შეფასებისას იყენებს როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს,.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე ძირითადად წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიის რუბრიკები დავალებების მიხედვით, სადაც დონეების მიხედვით გაწერილია კონკრეტული დავალების ფარგლებში მისაღწევი შედეგები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- პროექტის გეგმა მუსიკაში;
- პროექტი ხელოვნებაში (პროცესის ამსახველი ფოტომასალა);
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების ჩამონათვალი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგები სამივე საფეხურზე კურიკულუმების შესაბამისად ახდენენ სწავლებას. საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში შეაქვთ ცვლილებაც ნებისმიერ დროს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სკოლაში სრულად არის დაგეგმილი სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და დამტკიცება სწორედ იმ მიზნით ხდება, რომ ისინი უზრუნველყოფდნენ კურიკულუმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას და სასწავლო მიზნების მიღწევას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესი ორგანიზებული და თანმიმდევრული იყოს. სკოლამ წარმოადგინა პროექტული სწავლებს გეგმის ამსახველი დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილი იყო თითოეული კლასისთვის ცალკეული, დეტალური პროექტის გეგმები განხორციელების ეტაპებით, სკოლის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დოკუმენტი, რომელიც, როგორც მითითებულია, მოიცავს ზოგად გეგმას IX, X, XI კლასებისთვის (ნაცვლად X, XI და XII კლასებისა) და დეტალურად აღწერს ერთ პროექტს მხოლოდ X კლასისთვის, მაშინ, როცა გეგმები კლასების მიხედვით იყო წარმოსადგენი. აღნიშნულის გათვალისწინებით, **სკოლას მიეცა რჩევები:** • მასწავლებლებმა შექმნან დეტალური პროექტის გეგმები X, XI და XII კლასებისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება პროექტის განხორციელების ყველა ეტაპი.

	წარმოდგენილი X კლასის პროექტის გეგმა („საქართველოს დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე“) გაუმჯობესდეს შემდეგი დეტალების გათვალისწინებით: ა) მიეთითოს მოსწავლეთა აქტივობები თითოეულ ეტაპზე; ბ) მიეთითოს საჭირო რესურსები, მათ შორის, კონკრეტული ლიტერატურა, ვებ-გვერდები და სხვა დამხმარე მასალები; გ) აგრეთვე გაიწეროს სამოქმედო გეგმა, რომელიც ნათლად ასახავს პროექტის განხორციელების ვადებსა და ეტაპებს.
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: სასწავლო პროცესის განხორციელების ერთ-ერთი დასტურია მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მათი შეფასებები და უკუკავშირი.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის მიმართულებით შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, კონტექსტ მაგალითები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რესურსები და შემოქმედებითი დავალებები. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად.
სახელმწიფო ენა	ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ სემესტრში ერთ შემოქმედებით ტიპის დავალებას ახორციელებენ, რაც ნიშნავს იმას, რომ დაგეგმვა და განხორციელება არ ემთხვევა. ***სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებულია პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის გეგმით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 13.06.2025-08.09.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად სამივე საფეხურზე - კურიკულუმის კორექტირება. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე, სამივე საფეხურზე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც - „მეტწილად შეესაბამება" - სამივე საფეხურზე.*** ***სკოლა მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.***

	<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებით, სასკოლო სასწავლო გეგმისა და კურიკულუმების ანალიზით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიზანმიმართულად არის დაგეგმილი და შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმთნ. აღნიშნული დადასტურდა როგორც სასწავლო დოკუმენტაციის ანალიზით, ასევე პრაქტიკაში გამოყენებული სწავლების მეთოდებით და შეფასების სტრატეგიებით. მათემატიკის მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებს, ქვიზებს, შეჯამებას, მინი ლექციას, ინდივიდუალურ დავალებებს და სხვა. ამრიგად, სასწავლო პროცესის მთელი არქიტექტურა — დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით — აგებულია სასკოლო კურიკულუმის საფუძველზე.
სპორტი	სკოლის ინფრასტრუქტურა, სპორტული მოედანი, სპორტული ინვენტარი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურობას და შესაძლებელს ხდის, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი იყოს დაგეგმილი და განხორციელებული კურიკულუმის შესაბამისად .
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. რასაც ადასტურებს კურიკულუმებში ასახული სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები და შესაბამისი საგნობრივი საკითხები, თუმცა კურიულუმებში არ არის სტანდარტით განსაზღვრული ყველა მიმართულება და სამიზნე ცნება. მიუხედავად ამისა სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს აქვს მზაობა, რომ გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად აუცილებელია კლასის დონეზე ყველა მიმართულებაზე მუშაობა, ამიტომაც იგი გეგმავს კურიკულუმების განახლებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება

	კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. მომავალში დაგეგმილი აქვთ დიაგნოსტიკური მუშაობა, თუმცა ამჯერად ამის პრაქტიკა არ აქვთ.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას. მაგალითად, მასწავლებლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა დროულად უზრუნველყოფს შემცვლელი მასწავლებლის მოძიებას და მის ეფექტიან ჩართვას სასწავლო პროცესში (კათედრის დახმარება, ფასილიტატორი და ა.შ), ასევე, ხდება კადრის ჩანაცვლება იგივე საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მიერ, იმგვარად, რომ არ დაირღვეს სასწავლო წლის განმავლობაში საგნისთვის განკუთვნილი საათების დაგეგმილი რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში ახდენს კურიკულუმის მოდიფიცირებას და სხვა.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებაც. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება კომპონენტების მიხედვით. იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარებათ შეფასების სანდოობაში, გამჭვირვალეობასა და ვალიდურობაში. ხშირად ახდენენ განმავითარებელი შეფასების მიცემას, რაც ეხმარებათ მიღწევების ამაღლებაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეების საჭიროებებს და მიზნებს. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები მოსწავლეებს აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებლები ქმნიან შეფასების რუბრიკებსაც და გათავისებული აქვთ მათი მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მიემართება საგნის შესაბამის სამიზნე ცნებებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კი ასახულია, თუ რა მოლოდინები უნდა გვქონდეს მოსწავლისგან სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად.

	ამასთან ერთად, სკოლას მიეცა <u>რჩევა</u>: საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც სამიზნე ცნებების დამუშავებაზეა ორიენტირებული. თუმცა, X კლასის კურიკულუმთან ერთად წარმოდგენილ შეფასების რუბრიკაში სამი ცნებაა წარმოდგენილი, ამათგან ორჯერ არის გაწერილი სამიზნე ცნება „ძალაუფლების“ შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები. მასთან ერთად, განაწილებულია არა 6, არამედ 5 ქულა. შესაბამისად, მასწავლებლებმა სწორად უნდა მიუთითონ სამიზნე ცნებები და 6 ქულა გაანაწილონ აღნიშნულ ცნებებზე. იგივეა გასათვალისწინებელი დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკების შედგენის შემთხვევაში. მაგალითად, მეექვსე კლასის „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმთან ერთად წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა, რომელიც სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. თუმცა, აღნიშნული შეფასების რუბრიკის ინდიკატორები ზოგადია, მისათითებელია კონკრეტული საკითხები, რომელთა ფლობასაც ითვალისწინებს აღნიშნული ინდიკატორი. (მაგალითად, სამიზნე ცნება „მრავალფეროვნების“ ინდიკატორია: „კახეთთან დაკავშირებული ლეგენდების, მითების, თქმულებების და ისტორიული ეპიზოდების სივრცე-დროით ჭრილში განხილვა“.). აღნიშნულის სანაცვლოდ მისათითებელია კონკრეტული საკითხები, რომლებიც სახელმძღვანელოშია მითითებული. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეიძლება ასეთი ფორმით ჩამოყალიბდეს: „ბახტრიონის აჯანყების, ფერეიდნელი ქართველების, ერეკლე მეორის ისტორიების სივრცე-დროით ჭრილში განხილვა“.
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: შეფასების პრიციპები არის დაცული.
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვაგვარ შეფასების საშუალებებს. მოსწავლეები იცნობენ შეფასების რუბრიკებს. შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლას დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის წესი.

	<u>რჩევა</u>: სასურველია გარდა ზოგადი სახის რუბრიკებისა, შეადგინონ და გამოიყენონ კონკრეტული თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები.
სახელმწიფო ენა	შეფასება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაც დასტურდება ანალიტიკური შეფასების რუბრიკებითა და ვერიფიკაციის მექანიზმით.
მათემატიკა	სკოლაში ინტეგრირებულია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის მუდმივ მონიტორინგს და ზუსტ წარმოდგენას მის აკადემიურ მდგომარეობაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იყენებენ შეფასების მრავალფეროვან ფორმებს (ზეპირი პასუხი, პრეზენტაცია, ტესტი, პრაქტიკული დავალება, შემაჯამებელი დავალება და სხვა), რაც ემსახურება სასწავლო მიზნების სრულად დაფარვას და უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასება უკავშირდება იმ რეალურ უნარებსა და ცოდნას, რაც კურიკულუმშია გაწერილი. მოსწავლეებს მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში აცნობენ შეფასების რუბრიკებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დავალებები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) ცხადყოფს რომ ის არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.
სპორტი	წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას და მათი ფიზიკური თვისებების შესაძლებლობების გამოვლენას განაპირობებს. წინასწარ გაწერილი და შემუშავებული შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას, ხოლო მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება შეფასების ობიექტურობას და სანდოობას განაპირობებს.
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემის ვალიდურობაზე, გამჭირვალობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობაზე, სამართლიანობაზე მეტყველებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდება და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება.

	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები რამდენიმე კლასისთვის. პედაგოგი იყენებს/გამოიყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას (მე-5, მე-6 კლასებში განმსაზღვრელს), ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სოლო ტაქსონომიის ბარათები. სადაც დონეების მიხედვით გაწერილია კომპლექსური დავალების ფარგლებში რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იყენებენ შეფასების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა: ზეპირი პასუხი, პრეზენტაცია, ტესტი, პრაქტიკული დავალება, შემაჯამებელი დავალება, მოსწავლეებს აძლევენ ზეპირ განმავითარებელ კომენტარებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლა გეგმავს ამ დოკუმენტის საფუძველზე შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. დოკუმენტის მიხედვით სკოლაში ვერიფიკაცია წარიმართება სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტები აღწერს შეფასების მიზნებს, მიმართულებებს, ინსტრუმენტებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურებს და შესაბამის ფორმებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის მიერ დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები და მეთოდები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმებით ყველა თემას შეესაბამება ძირითადი და დამატებითი რესურსი. ესაა სახელმძღვანელო, ცდებისათვის საჭირო ნივთები და ელექტრონული რესურსები. ყველა რესურსს იყენებენ მიზნობრივად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმებში მითითებულია ის რესურსები (როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური), რომელთა დამუშავების შემთხვევაში, მოსწავლეები მიიღებენ სათანადო

	ცოდნას. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დავალებების ნიმუშების ნახვის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი იყენებენ სხვადასხვა სახის რესურსს შედეგებზე გასასვლელად.
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: მასწავლებლები იყენებენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. აღნიშნულის დასტურია, შედგენილი კურიკულუმების შესაბამისად განხორციელებული დავალებები.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში თემების შესაბამისად გაწერილია ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით. რიგ შემთხვევებში მასწავლებლები იყენებენ დამხმარე რესურსებსაც, მათ შორის ელექტრონულს.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე რესურსების ჩამონათვალი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, ციფრული რესურსები და ა.შ,).
მათემატიკა	კურიკულუმის ანალიზმა და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა მიერ მიზნობრივი შედეგების მიღწევას. რესურსების მრავალფეროვნება და მიზნობრივი შერჩევა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხს, ინტერაქტივობასა და მოსწავლეთა ჩართულობის მაღალ დონეს.
სპორტი	წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი თემების, სპორტული სახეობების და მათ შესაბამისად დაგეგმილი სპორტული აქტივობებისთვის გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელიც მოსწავლეთა სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას, მოტივაციის ამაღლებას და სწავლა სწავლების ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ინტერვიურების დროს გაირკვა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, რასაც ასევე ადასტურებს წარმოდგენილი მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების ნიმუში. საგნის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები, მეტ-ნაკლებად აქვთ მაორგანიზებელი სქემები და იშვითად გვხვდება ციფრული რესურსები. თუმცა გასაუბრების დროს მათ ისაუბრეს იმ დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმებით განსაზღვრულ ყველა რესურსს იყენებენ მიზნობრივად, აქვთ მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსებიც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	როგორც სკოლის მიერ მოწოდებული ვალიდაციის დოკუმენტიდან ჩანს, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას **საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების პროცესის ფარგლებში**. ამ პროცესში, საგნის მასწავლებელი პასუხისმგებელია რესურსების შერჩევაზე, ხოლო მათი ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და მტკიცდება საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დაწყებამდე. საბოლოოდ, მოცემული რესურსები სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი ხდება და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. მასწავლებლები აგრეთვე იყენებენ სანდო მასალას.
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: დამხმარე რესურსები გამოყენებულია შუალედური მიზნის შესაბამისად და მათი ვალიდაცია ხდება, სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე კურიკულუმების შემუშავება - განხივლისას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას შემუშავებული აქვს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი, სადაც გაწერილია, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს დამხმარე რესურსი და ასევე, კათედრის ფუნქციები დამხმარე რესურსის ვალიდაციის პროცესში.
სახელმწიფო ენა	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი (ბრძანება N2-56, 05.05.2025 წ). რომლის შესაბამისადაც მოახდენს სასწავლო პროცესში საგნობრივი კურიკულულმით განსაზღვრული დამხმარე რესურსების ვალიდაციას.

სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, სტანდარტებსა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. მისი გამოყენებით დაგეგმილი აქტივობები არის საინტერესო, დაძლევადი და ხელს უწყობს მოსწავლეებს თვითშეფასებისა და თავდაჯერების ჩამოყალიბებაში.
ტექნოლოგიები	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის დროს მასწავლებელი გაითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს. ასევე კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გეგმავს სასწავლო რესურსების ვალიდაციას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის შედეგების მიღწევა სკოლაში განსაზღვრულია საჭირო მატერიალური რესურსებით (ტექნიკა, ინვენტარი და ა.შ.) რაც შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის

	შედეგებს. საჭირო რესურსები ნაწილდება მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მათ თანაბარ ხელმისაწვდომობას.
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი, რათა მოხდეს უცხოური ენის ოთხივე მიმართულების (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) მიხედვით კომპეტენციების განვითარება.
ესთეტიკური აღზრდა	სწავლის შედეგების მისაღწევად კურიკულუმში გაწერილი რესურსები მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია. სკოლაში უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსები მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ გამოიყენონ სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკაც.
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი ფართი, ასევე, სახელმწიფო ენის სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები.
მათემატიკა	მათემატიკის სწავლებისათვის კურიკულუმით განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენება. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა და პროექტორი, რაც კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევაში დამატებითი რესურსების შეუფერხებლად გამოყენების საშუალებას იძლევა.
სპორტი	სკოლა კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევისათვის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სასწავლო პროცესის განხორციელებისა სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის მოსწავლეებს სთავაზობს სკოლის გარე სივრცესა და გარე სპორტულ მოედანს მოსწავლეთა მაქსიმალური დასაშვები რაოდენობის გათვალისწინებით.

ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რასაც ადასტურების სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვილობა. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია აგრეთვე ელექტრონული რესურსების გამოყენება. მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე გამოკვეთილი დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებულები არიან მენტორი, წამყვანი და უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებელები. ასევე, სპორტის საგანში დასაქმებულია ერთი მოწვეული მასწავლებელი, რომელსაც აქვს 3 საათიანი კვირეული დატვირთვა. მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტის გეგმა მუსიკაში;
- პროექტი ხელოვნებაში (პროცესის ამსახველი ფოტომასალა);
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კათედრის სხდომის ოქმი;

- დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი;
- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ემთხვევა მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სასწავლო პროცესში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პოზიტიურ, თანამშრომლობით კულტურას და ჯანსაღ კომუნიკაციას, ორიენტირებულია თითოეულ მოსწავლეზე, მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებზე.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპების დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით გაიწეროს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, განისაზღვროს კონკრეტული ნაბიჯები თუ როგორ/რა საშუალებებით მოხდება მონიტორინგი და შეფასება, რათა განისაზღვროს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, გამოიკვეთოს გადაჭრის გზები გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. სკოლა საგნობრივი კურიკულუმების გაუმჯობესების პროცესში, ზრუნავს სასკოლო საზოგადოების წევრების, უპირველეს ყოვლისა,

მოსწავლეების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. აღნიშნული პროცესი სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული, განსაკუთრებით კი ყურადრების ქვეშაა მოსწავლეთა ინტერესები.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით (კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები). შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლა იყენებს და გეგმავს გამოიყენოს მრავალფეროვანი წყაროები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, სადაც ასახულია, თუ რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება. **სკოლას მიეცა <u>რჩევა,</u>** მეთოდოლოგიაშიც მკაფიოდ გამოაჩინოს რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება, ასევე, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა შეფასებისთვის იყენებს და გეგმავს გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი, ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია კურიკულუმის განვთარების მეთოდოლოგიის თანახმად, საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **სკოლას მიეცა <u>რჩევა</u>**, მეთოდოლოგიაშიც დეტალურად გაწეროს თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით ახორციელებს სკოლა შეფასებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება მოხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია, როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დუკუმენტის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე დაიწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო წლის გეგმაზე. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციებს ახალი კურიკულუმის შესამუშავებლად, აგრეთვე რეკომენდაციებს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმისათვის. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ არსებობდა პრაქტიკა, როცა ახალი სასწავლო

გეგმები ძველ გეგმებზე დაყრდნობით იქმნებოდა, ახალი სასწავლო წლისთვის ეს პროცესი სკოლაში უკვე შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურებით წარიმართება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი: 14.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

Ia Kuridze 61001057014

Digitally signed by Ia Kuridze
Date: 2025.07.14 18:57:06

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: